1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

ოქტომბერი **№ 10** ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 9/I-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-86 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 4,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6

შეკვეთა № 16 უე 10092 ტირაჟი 6000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1985 წლის 3 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“ ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიებმა და საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართეველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების „მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში თეატრის როლის გაძლიერების შესახებ“ შესაბამისად, თეატრალური ხელოვნების მე-11 რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“ ჩატარდეს 2 დეკემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით.

კვირეულის საზეიმო გახსნა მოეწყოს 2 დეკემბერს ქ. გორში, დასკვნითი საღამო ჩატარდეს 9 დეკემბერს ქ. თბილისში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა, კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებასთან შეთანხმებით1985 წლის 30 ოქტომბრამდე შეიმუშაოს კვირეულის ჩატარების გეგმა და უხელმძღვანელოს რესპუბლიკაში მის ორგანიზაციას.

3. სახალხო განათლების, კულტურის, თეატრალური საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებებმა, თეატრებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა უზრუნველყონ ადგილებზე თეატრალური ხელოვნების კვირეულის მაღალ დონეზე ჩატარება. გამოიყენონ იგი თეატრისა და სკოლის ურთიერთობის განსამტკიცებლად.

4. თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“ ჩატარებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას წილობრივი წესით.

5. დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).

6. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს (ამხ. თ. მდივანი) შეიმუშაოს თეატრალური კვირეულის ხარჯთაღრიცხვის პროექტი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, რესპუბლიკის თეატრალურ საზოგადოებასთან შეთანხმებით და წარმოადგინოს იგი დასამტკიცებლად.

Державна ордена Трудового Червоного Прапора Республіканська бібліотека УРСР імені КПРС

საქ. სსრ კ. მარქსის

7. ჟურნალების: „საბჭოთა ხელოვნება“, „სკოლა და ცხოვრება“, „თეატრალური მოამბე“, გაზეთის „სახალხო განათლება“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ თეატრალური ხელოვნების კვირეულის მიმდინარეობა.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ნორჩი ლენინელი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“ რედაქციებს გააშუქონ რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის მსვლელობა.

9. კონტროლი კვირეულის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილებას (ამხ. ა. შალუტაშვილი) და საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების საბავშვო და სახალხო თეატრების კაბინეტს (ამხ. ი. თუხარელი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი

საქართველოს სსრ თეატრალური
საზოგადოების თავმჯდომარე
გ. ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკური ღონისძიებანი

1. ნორჩ რეცენზენტთა კონფერენცია
2. ნორჩ მხატვართა გამოფენა-კონკურსი „მე რომ თეატრის მხატვარი ვიყო".
3. „პროფესიონალთა სცენაზე" — სასკოლო თეატრი სცენაზე (ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლის სპექტაკლი)
4. „მოსწავლის დღე" — რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილენი სტუმრად თბილისის თეატრებში.

## ადგილებზე ჩასატარებელი ღონისძიებები

1. სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება და განხილვა
2. სასკოლო წრეები თეატრალურ თემაზე
3. „45 წუთი მშვენიერების სამყაროში"
4. შეხვედრები თეატრის მოღვაწეებთან
5. ნორჩ მხატვართა გამოფენა
6. თეატრისადმი მიძღვნილი სტენდების, ალბომების, კედლის გაზეთების გამოფენა
7. ღია კარის დღე თეატრებში
8. „მასწავლებლის დღე"
9. „სოფლის მოსწავლის დღე"
10. კოლექტიური სვლა თეატრის მოღვაწეთა სახლ-მუზეუმებსა და თეატრის მუზეუმებში

**დანართი 1**

## რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. მ. ღარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ი. გამრეკელი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე
3. ბ. კობახიძე — საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე
4. თ. შენგელია — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე
5. ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

6. თ. მდივანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორი

7. ლ. ჩხეიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე

8. კ. სუჯაშვილი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი

9. თ. კოლონია — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი

10. ვ. წულუკიძე — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი

11. ფ. ფუხაევა — სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგე

12. გ. კოკოევი — სამხრეთ ოსეთის ა/ო კულტურის განყოფილების გამგე

13. ნ. კახნიაშვილი — ქ. გორის განათლების განყოფილების გამგე

14. გ. გურგენიძე — ქ. გორის კულტურის განყოფილების გამგე

15. თ. მარგველაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ესთეტიკის განყოფილების გამგე.

16. ნ. გურაბანიძე — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი

17. ნ. შველიძე — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი

18. მ. ჩხარტიშვილი — საქართველოს სსრ ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქტორი

19. რ. ძერია — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი

20. თ. ხომერიკი — საქართველოს სსრ ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქტორი

21. ა. არგუნი — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი

22. გ. მახარაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1984—1985 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ

მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის გატარებულმა თანამიმდევრულმა ღონისძიებებმა სკოლებში, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში განამტკიცა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა. პოზიტიურმა ძვრებმა სასკოლო ცხოვრებაში ხელსაყრელი პირობები შექმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელთა დიდმა ნაწილმა დაძლია წარსულის მავნე ზეგავლენა, სრულყო და დახვეწა პედაგოგიური კოლექტივის მართვის სტილი. ფორმები და მეთოდები, შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა სკოლაში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერ, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, თავის გარშემო შემოიკრიბა და დარაზმა მასწავლებლობა, მშობლები, საზოგადოებრივი აზრი განაწყო ადამიანთა ურთიერთობაში შემორჩენილი ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებლობით, სასკოლო პრაქტიკიდან მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრა პროტექციონიზმი, მაამებლობა, შეფასების ნიშნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, ლიბერალიზმი, პროცენტომანია, შპარგალკის გამოყენების ჩვევები და ა. შ. მასწავლებელთა უმრავლესობა აქტიურად ჩაება საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში, თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმად აქცია პროგრესისადმი მისწრაფება, სკოლის რეფორმის მოთხოვნათა ხორცშესხმა, გაკვეთილებზე ფართო გზა გაუხსნა ცხოვრების წინსვლით ნაკარნახევ განმავითარებელ სწავლებას, დასახა სასკოლო პრაქტიკაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პერსპექტივები.

განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა და განსაკუთრებით მათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროს მედლითა და ქების სიგელებით დაამთავრეს, გამოსაშვებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა იმ სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა, მასწავლებელთა დიდი ნაწილის მუშაობაშიც, რომელნიც მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული 1984 და წინა წლების კოლეგიათა სხდომებზე. მათ სწორი შეფასება მისცეს მიღებულ შენიშვნებს, გაატარეს საჭირო ღონისძიებანი სასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის სრულყოფის, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში წესრიგის დამყარებისათვის.

ამასთან, რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებული გამოსაშვები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სათანადო მომზადებას მოქმედი სასწავლო პროგრამების ფარგლებში; დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება არ ექცევა სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მის სიღრმესა და სიმტკიცეზე ზრუნვას. ვერც მეთოდური სამსახურის საქალაქო და რაიონული რგოლები უწევენ სათანადო დახმარებას სკოლებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში კვლავ ადგილი აქვს არაობიექტურობის, ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის შემთხვევებს. რიგ სკოლებში, გამოსაშვებ გამოცდებზე უხეშად დაირღვა ინსტრუქციის მოთხოვნები, რაც უმთავრესად იმის ბრალია, რომ პედაგოგიურ კოლექტივებში კვლავ გვხვდებიან ცალკეული პირები, რომლებიც უფრო მეტს ზრუნავენ, და არც თუ უანგაროდ, მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურ გაზრდაზე, ვიდრე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მათში ლოგიკური აზროვნების ფორმებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამის შედეგია, რომ გამოსაშვებ წერით გამოცდებზე კვლავ ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა და მათ შორის ოქროს მედლის კანდიდატთა მიერ „შპარგალკით“ სარგებლობის მცდელობის შემთხვევებს. სერიოზული დარღვევები გამოვლინდა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების საქმეშიც.

ზემოაღნიშნული და სხვა დარღვევები გამოწვეულია იმით, რომ რიგი სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს წესრიგი მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასებაში. პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა არ გააჩაღეს მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში ფორმალიზმის აღსაკვეთად. რის შედეგად გასულ სასწავლო წელს 542 ოქროს მედლის კანდიდატიდან გამოსაშვებ გამოცდებზე, სადაც განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკები ესწრებოდნენ, 332-მა ვერ მიიღო „5“, ხოლო განათლების სამინისტროში ოქროს მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 58 მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ალგებრა და ანალიზის საწყისებში აშკარად ლიბერალურად იყო შეფასებული, არ იმსახურებდნენ შეფასება „5“-ს. უფრო მეტი, იყო შემთხვევები, როცა წარმოდგენილი ნამუშევრები „3“-ზეც შეფასდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები გამოცდების ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა სერიოზული ხარვეზები სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის ცოდნაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1984—1985 სასწავლო წელს გამოსაშვები გამოცდების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. სკოლების სამმართველოს ცნობის (თან ერთვის) საფუძველზე ღრმად შეისწავლონ და გააანალიზონ 1984—1985 სასწავლო წელს გამოსაშვები გამოცდების შედეგები, განიხილონ ისინი კოლეგიის, საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

1. 2. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს;

1. 3. განიხილონ სასკოლო საგამოცდო, სარაიონო და საქალაქო სარეცენზიო კომისიების იმ წევრთა და მასწავლებელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას, საგამოცდო ნამუშევრების გასწორებისას არაკვალიფიციურობა, უპრინციპობა და ლიბერალიზმი გამოავლინეს. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე ჩაატარონ მათი რიგგარეშე ატესტაცია.

2. მოსწავლეთა, განსაკუთრებით ოქროს მედლის კანდიდატთა, ცოდნის შეფასებისადმი ლიბერალური, გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მასწავლებლებს: ამხ. ამხ. რ. მუგიმოვას (ადიგენის საშუალო სკოლა), ა. აბრამიშვილს (ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. კოვალჩუკს და ვ. რატიმოვას (გარდაბნის მე-4 საშუალო სკოლა), ვ. გილკას (სამტრედიის საშუალო სკოლა), ვ. ბოხუას, ნ. რუხაძეს და შ. მელაძეს (წულუკიძის მე-2, ნახახულევის და მათხოჯის საშუალო სკოლები), ლ. ვაშაკიძეს (ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა), დ. ხარჩილავას (ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), თ. ინჯიას (ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური, მასწავლებლებს: ნ. იორდანოვას (ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პოზის საშუალო სკოლა), ა. ჟიგალოვას (გარდაბნის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. ნადირაშვილს (ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მე-2 საშუალო სკოლა), ფ. ბაგდაროვას, ნ. წერეთელს და ე. მარგველაშვილს (თერჯოლის 1-ლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუფოთის და ნავარევის საშუალო სკოლები), ლ. მამფორიას და რ. ქვარცხავას (ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლა), ჟ. თუთისანს და მ. ლალაძეს (ქ. წყალტუბოს 1-ლი და გეგუთის საშუალო სკოლები) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

ლიბერალურად ჩაითვალოს ქ. ზუგდიდის, წყალტუბოს ზონის, ახმეტის, გურჯაანის, კასპის, ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების საბჭოების მიერ ამ საკითხზე ნ. ნაჭყებიას, ლ. ქანთარიას, მ. ზარანდიას, ვ. გიორგაძის, გ. ლოლაძის, ე. მამულაშვილის, მ. ლალაძისა და ნ. ჩიხლაძისათვის შეფარდებული სასჯელები.

დაევალოს ჩოხატაურის, წყალტუბოსა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს: ლ. თოდუას, მ. ინასარიძეს, რ. გახელაძეს განიხილონ მასწავლებლების: კ. ჩხიკვაძის, ნ. ჩიხლაძისა და გ. მამულაშვილის დამატებითი, რიგგარეშე ატესტაციის საკითხი.

3. საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნათა უხეში დარღვევისათვის, მასწავლებელთა მუშაობაზე არასაკმარისი კონტროლისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის სკოლის დირექტორებს: ამხ. ამხ. მ. გიორგაძეს (ადიგენის საშუალო სკოლა), ვ. გიორგაძეს (ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა), ა. კუმჩიანს (ბოგდანოვკის რაიონის პოგის საშუალო სკოლა), ლ. ლოლაძეს (გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლა), ნ. ნაბიჭვრიშვილსა და თ. თევდორაშვილს (ყვარლის 1-ლი და შილდის მე-2 საშუალო სკოლები), ჯ. ერემეიშვილს (ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლა), თ. მიქაძეს (სამტრედიის მე-3 სკოლა), ნ. კუტუბიძეს (ჩოხატაურის 1-ლი სკოლა), ვ. გურგენიძეს (ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური, ხოლო დირექტორებს: ლ. ზუდოვას (გარდაბნის მე-2 საშუალო სკოლა), მ. ჯაფარიძეს (მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. კოროლჩუკს (სამტრედიის მე-4 საშუალო სკოლა), ჭ. ნოზაძეს, მ. გელაშვილს, ნ. სტეფანიძეს, შ. ჯეირანაშვილს (ხაშურის რაიონის ალის, წაღვლის, ფლევის, წრომის საშუალო სკოლები), ი. ვაპავას (ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლა), რ. მახარაძეს (ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა), ნ. ტატულაშვილს (ქ. გორის 1-ლი საშუალო სკოლა), თ. ქილიფთარს (ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებისა და უპრინციპობისათვის მეთოდისტებს: ა. ჩიტაძეს (თერჯოლის რაიონი), ნ. ნაჭყებიას (ჩხოროწყუს რაიონი), ლ. ქანთარიასა და ე. ზარანდიას (ქ. ზუგდიდი) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაქვემდებარებული სკოლების მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, რამაც ზოგ სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში უხეში შეცდომები გამოიწვია, წყალტუბოს ზონის, გარდაბნის, დუშეთის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, წულუკიძის, ვანის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს: მ. ინასარიძეს, ზ. ზაქარეიშვილს, ვ. გოგოლაურს, გ. ბურჯანაძეს, კ. ძნელაძეს, ლ. გორდულაძეს, ო. ადამიას, ა. ენუქიძეს გამოეცხადოთ საყვედური; ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ახმეტის, ყვარლის, თერჯოლის, ბოგდანოვკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს: მ. ქავთარაძეს, მ. კვიკვინიას (გამგის მოვალეობის შემსრულებელი), ზ. წითელაურს, ზ. იოსებაშვილს, ც. ღიბრაძეს, ს. ჯაგაცპანიანს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ გამოცდების ჩატარების ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომებისათვის, რაც საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევითა და სკოლების მუშაობაზე არასათანადო კონტროლით გამოიხატა, ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ლ. თოდუას დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი.

6. აღინიშნოს ქ. გორის, ახალქალაქის, ბოლნისის, მესტიის, ქარელის, ლაგოდეხის, მცხეთის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების (ამხ. ამხ. ნ. კახნიაშვილი, ა. გაბრიელიანი, ე. გობეჯიშვილი, მ. ჩხვიმიანი, ვ. ბაქრაძე, ე. ხმალაძე, ნ. ოდიშვილი, გ. თავხელიძე, შ. ლონლაძე, ნ. ჭანტურია, ტ. ჯანჯღავა) არასაკმარისი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასებაში სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ე. კვერცხალაშვილი (დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში), მ. მოისწრაფიშვილი (ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი), ნ. ასათიანი (ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი), ნ. წილოსანი (ლანჩხუთის რაიონის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი), ჯ. ახვლედიანი (ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი), გ. ასეიშვილი (ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი), ჟ. იმედაშვილი (სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი), ფ. როსტომაშვილი (ყვარლის რაიონის შილდის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი), ნ. დოლიძე (ქ. წყალტუბოს მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი), გ. ზაზაშვილი (ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე) განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვლენილი დარღვევები შესწავლილ და განხილულ იქნა რესპუბლიკის უმრავლესი ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს თანდართული ცნობა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

10. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1984—1985 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ

სკკპ 27-ე ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილ მზადებას მძლავრი სტიმული მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემის მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დგანან საყრილობო ვახტზე, რაც, უპირველესად, სისტემის სინამდვილეში სკკპ 26-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების სათანადო გადაწყვეტილებათა დროულ, ხარისხიან შესრულებას გულისხმობს. ხორციელდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის სისტემის სრულყოფის გეგმაზომიერი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მხარდაჭერით, კავშირში პირველი შეუდგა და უკვე მეორე წელია ახორციელებს 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მე-12 მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მოწონებულ სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სკოლებში გატარებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, რასაც სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევი პოზიტიური ძვრები მოჰყვა და ხელსაყრელი პირობები შექმნა სახალხო განათლების მთელი კომპლექსის თვისებრივად და ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილმა სრულყო და დახვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები; გაატარა საჭირო ღონისძიებები სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის.

რიგი მასწავლებლები უნარიანად იყენებდნენ თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ატარებდნენ ლაბორატორიულ და სხვა პრაქტიკულ სამუშაოებს, სრულყოფდნენ სწავლების ფორმებს, მეთოდებსა და საშუალებებს, რისთვისაც აქტიურად იყენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, განსაკუთრებით უფროს კლასებში, ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, გასაუბრებას, დისპუტებს, პრაქტიკუმებს, კონსულტაციებსა და სხვ. საჭირო ყურადღებას უთმობდნენ წიგნზე და ცოდნის სხვა წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას, დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას.

ყოველივე ამის შედეგად კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით მათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროს მედლით და ქების სიგელით დაამთავრეს, გამოსაშვებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

გასულ, 1984—1985 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ძირითადად, ორგანიზებულად დაიწყეს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩაატარეს საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები, რომლებზედაც შეჯამდა სკოლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, აგრეთვე ახალციხის, გორის, დუშეთის, კასპის, მახარაძის, თელავის და სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა.

ამასთან, როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საინსპექტორო შემოწმებამ და საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებების მუშაკთა ერთმა ნაწილმა ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნა განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებებიდან, რის გამოც მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს, სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას.

ამასთან, სკოლების გარკვეული ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯეროვან მომზადებას სასწავლო პროგრამის ფარგლებში, არ იბრძვის მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა ფორმალიზმი, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, უპასუხისმგებლობა, გულგრილობა, საქმისადმი ეგოისტური დამოკიდებულება. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელმა ვერ უზრუნველყო გამოცდებისათვის სათანადოდ მომზადება, პედაგოგიური კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექტივების მობილიზება სკოლის ცხოვრებაში ამ ფაქტორსაც პასუ[illegible]გები და მნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ მოემზადა გამოსაშვები გამოცდებისათვის, არ გაერკვა თავის ფუნქციებში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს არ გააცნო საგამოცდო ინსტრუქციის ის ადგილები, რომლებიც მათ ეხებოდათ, რის შედეგადაც ინსტრუქციის უხეში დარღვევები აღინიშნა ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, ქ. ჭიათურის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ჩოხატაურის, ცაგერის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს რაიონების რიგ სკოლებში (გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. კვიკვინია, გამგეები: მ. ქავთარაძე, ნ. წერეთელი, ზ. წითელაური, ვ. დარჩიაშვილი, ზ. იოსებაშვილი, ლ. თოდუა, დ. კოპალიანი, ო. ადამია, ბ. კუტალაშვილი, ლ. გორდულაძე). ქ. ჭიათურის მე-9 და ახმეტის 1-ლ საშუალო სკოლებში (დირექტორები: გ. ცხადიაშვილი, ა. ბაკურიძე) სამ-სამი მოსწავლე დაგვიანების გამო არ იქნა დაშვებული შესაბამისად ქართული ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდებზე. ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. პურიჭამიაშვილი) ალგებრა და ანალიზის საწყისების საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იყო ფიზიკის მასწავლებელი — ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის მშობელი, ქ. თბილისის 162-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე დაგვიანებით გამოცხადდა კომისიის წევრი ნ. ბუხაიძე; საგამოცდო ოთახში არ იყო საჭირო ლიტერატურა ტექსტების გამოყენებისათვის.

ზესტაფონის რაიონის სვირის საშუალო სკოლის მე-8 კლასში გეომეტრიის გამოცდაზე არ ჰქონდათ თვალსაჩინოება პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად.

საქმისადმი სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების დაუდევრობაზე, სასწავლო პროცესის სუსტ ორგანიზაციასა და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალ დონეზე მიგვანიშნებს ქ. ქ. ზუგდიდის, ქუთაისისა და წყალტუბოს ზოგიერთ სკოლაში საკლასო ჟურნალების წარმოებაში დაშვებული დარღვევები. ქ. ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის მე-9 კლასების მათემატიკის მასწავლებელ ე. ყუფუნიას 1-ლ სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერით ნამუშევრების შეფასებები შეუტანელი ჰქონდა საკლასო ჟურნალებში, ანალოგიურ დარღვევებს ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის მე-4 და მე-19 საშუალო სკოლებში (დირექტორები: ც. კეზევაძე, რ. მახარაძე). ქ. წყალტუბოს მე-2 საშუალო სკოლის მე-9 და მე-10 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. დოლიძემ საკლასო ჟურნალებში ფიქტიური ნიშნები შეიტანა ბოლო საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების გარეშე.

ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლის ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები არ იცავენ მოსწავლეთა შეფასების სიხშირეს, მე-2 სემესტრში მიმდინარე შეფასების გარეშე იყო დარჩენილი რამდენიმე მოსწავლე. მე-3 და მე-19 სკოლებში (დირექტორები: თ. დახუნდარიძე, რ. მახარაძე) საგამოცდო მასალები არ იყო განხილული მეთოდური გაერთიანებების სხდომებზე, ინახებოდა საგნის მასწავლებლებთან. ზოგიერთი სკოლის დირექტორი არასათანადოდ მოემზადა დასკვნითი პედაგოგიური საბჭოს სხდომის ჩასატარებლად: 21-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. ნადირაძე) საბჭოს სხდომა ჩაატარეს მასწავლებელთა კუთვნილი შვებულების პერიოდში — 26 ივნისს. 23-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მ. გურგენიძე) პედაგოგიური საბჭოს სხდომას, სადაც განიხილებოდა სასწავლო წლის შედეგები, 70 წევრიდან ესწრებოდა 32, დირექტორი და კამათში მონაწილე მასწავლებლები მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით შემოიფარგლნენ, არ ჰქონდათ მომზადებული დადგენილების პროექტი.

საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევები გამოვლინდა ჩოხატაურის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გამოსაშვებ გამოცდებზე. განათლების განყოფილების (გამგე ლ. თოდუა) მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გამოსაშვები გამოცდების არსებული ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით ჩატარება, ვერ დააკომპლექტეს სარაიონო სარეცენზიო კომისიები სათანადო კვალიფიციური, პრინციპული სპეციალისტებით. განათლების განყოფილების მუშაკები თვითონ მოექცნენ ზოგიერთი მშობლის გავლენის ქვეშ, წინასწარ განზრახვით ჩაიდინეს საბჭოთა მასწავლებლისათვის შეუფერებელი საქციელი. სოფელ შუაგანახლების საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატ ლ. ყაჭეიშვილის საგამოცდო წერითი ნამუშევარი ალგებრა და ანალიზის საწყისებში სკოლისა და რაიონის საგამოცდო კომისიებმა „5"-ით შეაფასეს, თუმცა განათლების განყოფილების კომისიამ რეცენზიაში მიანიშნა ნამუშევარში დაშვებული 2 უზუსტობის შესახებ. ლ. ყაჭეიშვილის მშობელი, მიხვდა რა საქმის ნამდვილ ვითარებას, დაჟინებით მოითხოვა ნამუშევრის ხელახლად შესრულება (გადაწერა). განათლების განყოფილების გამგე და სასკოლო ინსპექტორი გ. ასიეშვილი არათუ წინ აღუდგნენ მშობლის უკანონო მოთხოვნას, პირიქით, საკუთარი ინიციატივით ხელი შეუწყეს მოუთმენელი სიყალბის ჩადენას — ლ. ყაჭეიშვილს თვითონ მისცეს განათლების სამინისტროს შტამპდასმული ფურცელი და ჩუმად გადააწერინეს საგამოცდო ნამუშევარი. ამით მათ უხეშად დაარღვიეს თანამდებობრივი ეთიკის ნორმები, შებღალეს მოსწავლის რწმენა პედაგოგიური პატიოსნებისადმი.

სამინისტროში შემოსული სიგნალებით ოქროს მედლის კანდიდატთა ლ. ყაჭეიშვილისა და კ. ლომინეიშვილის ნამუშევრების შეცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა რუსულ ენაში რესპუბლიკური საკონტროლო წერის დროსაც.

საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი, მისცა მას პრინციპული შეფასება, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა სასკოლო ინსპექტორი გ. ასიეშვილი და გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით; განათლების განყოფილების გამგეს ლ. თოდუას გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, დაისაჯნენ სკოლისა და განათლების განყოფილების სხვა მუშაკებიც.

რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით მოზარდი თაობის შეიარაღებას, ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. ამდენად, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ გააჩნია დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, საკუთარი ძალების რწმენა, სჩადის სიყალბეს — ცდილობს „შპარგალკის" გამოყენებას, თვალის ახვევას.

F5400

გასულ წლებში განათლების სამინისტროს კოლეგიამ არაერთხელ მიაქცია რესპუბლიკის მასწავლებელთა ყურადღება სკოლის პრაქტიკიდან ისეთი მანკიერი მოვლენების აღმოფხვრის აუცილებლობას, როგორიცაა ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, არაობიექტურობა, „შპარგალკების" გამოყენების მცდელობა და სხვ. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, გასულ სასწავლო წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოცდების დაწყების წინ კვლავ შეახსენა მოსწავლეებს, მათ მშობლებს. მასწავლებლებს, სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაკებს აღნიშნულის შესახებ, გააფრთხილა, თავიდან აეცილებინათ „შპარგალკის" გამოყენებასთან ან მის მცდელობასთან დაკავშირებული სამწუხარო შედეგები.

მიუხედავად მიღებული გამაფრთხილებელი ზომებისა, „შპარგალკის" გამოყენების მცდელობას ადგილი ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ქ. თბილისის 162-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. ცინცაძე). საგამოცდო კომისია ცდილობდა, დაეფარა „შპარგალკის" გამოყენების ფაქტები. ქალაქის განათლების სამმართველოსა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა 10 მოსწავლეს, მათ შორის სამ ოქროს მედლის კანდიდატს, ჩამოართვეს „შპარგალკა", შეადგინეს აქტი და გაუფორმეს ნიშანი „2", ქ. ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. აბსავა) რუსული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე 3 მოსწავლეს ჩამოერთვა „შპარგალკა", მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარედან სპეკულაციის მიზნით შემოტანილ ფოტოფირზე გამრავლებული ნიმუშიც. ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ბაკურიძე) მოსწავლეს ნ. ზანდუკელს ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ჩამოერთვა „შპარგალკად“ გამოსაყენებელი სარაიონო საკონტროლო წერის დროს შესრულებული ნამუშევარი, რომელსაც დასმული ჰქონდა განათლების განყოფილების ბეჭედი და შეფასებული და ხელმოწერილი იყო საგნის მასწავლებლის მიერ.

გალის რაიონის აჩიგვარის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე მ. ცაავას „შპარგალკიდან“ სწორად ვერ ამოუკითხავს ზოგიერთი სიტყვა და საგამოცდო ნამუშევარში წერს — „მემამულეს“ ნაცვლად—„მეუღლისა“, „ბორკილების“ ნაცვლად „დაბრკოლების“.

ლანჩხუთის ცე-3 საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი მ. მოისწრაფიშვილი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ყოფილი ორგანიზატორი, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ნ. ასათიანი) მე-10 კლასის მოსწავლეს ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ჩამოერთვა „შპარგალკა“. საგამოცდო კომისიამ და განათლების განყოფილების წარმომადგენელმა (ყოფილი მეთოდისტი ნ. წილოსანი) უხეშად დაარღვიეს საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნები — მოსწავლეს გააგრძელებინეს წერა და არ გაუფორმეს ნიშანი „2“. ასევე „შპარგალკების“ გამოყენების მცდელობისათვის ორიანები დაეწერათ ქ. თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული, 23-ე, 51-ე, 150-ე, აგრეთვე ქ. გორის 1-ლი, ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლების მოსწავლეებს (ყოფილი დირექტორი ნ. ტარიელაშვილი, დირექტორები: მ. მგელაძე, ლ. ზარანდია, ვ. ხადურიშვილი, ნ. ტატულაშვილი, ზ. ლობჟანიძე).

ჩხოროწყუს 1-ლი და ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მე-2 საშუალო სკოლების (დირექტორები: ი. პაპავა, თ. თევდორაშვილი) მათემატიკის მასწავლებლები ლ. მამფორია და ნ. ნადირაშვილი უხეშად არღვევდნენ საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნებს, გამოცდებზე იქცეოდნენ გამომწვევად. ისინი არაფრად აგდებდნენ სამინისტროს წარმომადგენლის შენიშვნებს და უტიფარი სიჯიუტით განაგრძობდნენ მოსწავლეებისათვის კარნახს. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები და კომისიის სხვა წევრები მათ საქციელს თვალს ადევნებდნენ გულგრილი შემწყნარებლობით.

ყვარლის რაიონის შილდის 1-ლ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ბიკაშვილი) გამომცდელმა მასწავლებელმა ფ. როსტომაშვილმა, დაარღვია რა საგამოცდო ინსტრუქცია, ორჯერ თვითნებურად დატოვა წერითი გამოცდა, შევიდა ქიმიის კაბინეტში და მოსწავლეთათვის გადასაცემად ამრავლებდა საგამოცდო დავალების მესამე საკითხის ამოხსნას — „შპარგალკას“. აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა, მათ შორის მედლის კანდიდატებმა, ალგებრა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანალიზის საწყისებში გამოამჟღავნეს დაბალი ცოდნა, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა მათს წლიურ შეფასებებს.

გალის რაიონის რეჩხისა და ოქუმის სკოლებში (თავმჯდომარეები: ა. ჯობავა, ი. მონია, მასწავლებლები: კორსანტია, ა. პაპავა) თვითნებურად შეცვალეს ალგებრა და ანალიზის საწყისების გამოცდებისათვის შერჩეული მე-5 საკითხი, მაგალითი № 1520-ის ნაცვლად ამოახსნევინეს № 1506.

დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლის (დირექტორი ა .თანიაშვილი) დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. კვერცხაშვილმა, რომელიც ამავე დროს ქიმიის მასწავლებელიც არის, მოსწავლეებს წინასწარ გააცნო, აგრეთვე ამოახსნევინა საგამოცდო ბილეთების მესამე საკითხად გათვალისწინებული ამოცანები. მიუხედავად ამისა, მოსწავლეებმა საგანში სუსტი მომზადება გამოავლინეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებით ყვარლისა და დუშეთის რაიონების სახალხო განათლების საბჭოებმა განიხილეს საკითხი — შილდის 1-ლ და ჭოპორტის საშუალო სკოლებში ალგებრა და ანალიზის საწყისებისა და ქიმიის გამოსაშვებ გამოცდებზე მომხდარი ფაქტების შესახებ და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს შილდის 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. როსტომაშვილი, ჭოპორტის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. კვერცხაშვილი, სასტიკი საყვედური გამოუცხადეს დირექტორებს დ. ბიკაშვილსა და ა. თანიაშვილს.

გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი, ამჟამად სასკოლო ინსპექტორი რ. არაყიშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მ. ბერიაშვილი, ნ. გარსევანიშვილი, ქ. პეტრიაშვილი ცდილობდნენ ჩაესწორებინათ ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან საგამოცდო ფურცელზე აღნიშნული იყო ჩასწორებათა რაოდენობა.

ოქროს მედლის კანდიდატთა ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუშევრების ჩასწორების მცდელობას ადგილი ჰქონდა ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების სარეცენზიო კომისიის მხრიდანაც. შილდის 1-ლი საშუალო სკოლისა და სახალხო განათლების განყოფილების მუშაკები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ოქროს მედლის კანდიდატ ა. ზუბიტაშვილის მიმართ. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს სასტუმროშიც კი დაურეკეს და ჰკითხეს, „ხომ იყვნენ გაფრთხილებულნი“. ქართული ენისა და ლიტერატურის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ქაიხოსროშვილი) გამოსაშვები კლასების მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეებმა. საგამოცდო კომისია დაბალი კვალიფიკაციის, უპრინციპო, არაობიექტური მუშაკებისაგან იყო დაკომპლექტებული.

ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატ ე. ბერიძის რუსული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუშევარი განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ შეაფასა „4/5“-ზე, სკოლის დირექტორმა ზ. გოგიტიძემ და საგნის მასწავლებელმა ნ. ხრისოსტმამიდიმ, ნაცვლად იმისა, რომ გაეანალიზებინათ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში მათ მიერ დაშვებული შეცდომები, დაერწმუნებინათ მოსწავლე და მისი მშობელი სამინისტროს სარეცენზიო კომისიის შეფასების ობიექტურობაში, ყოვლად უსაფუძვლოდ საეჭვო გახადეს სამინისტროს კომისიის შეფასება და განათლების მინისტრს ბეჭედდასმული დეპეშით აცნობეს, რომ ნამუშევარი იმსახურებდა შეფასებას „5/5“.

ალგებრა და ანალიზის საწყისების საგამოცდო წერითი ნამუშევრების დაუდევრად გასწორების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე. ამან მოსწავლეთა მშობლები დააეჭვა საგამოცდო კომისიის ობიექტურობაში და საჩივრებით აავსო ზემდგომი ორგანოები.

საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევები გამოვლინდა ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში (გამგე დ. კოპალიანი). განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა ჯ. ახვლედიანმა, რომელსაც მე-8 კლასების წერითი გამოცდებისათვის თემების შერჩევა და პაკეტების მომზადება ჰქონდა დავალებული, დაუდევრობა გამოიჩინა, ისინი დასალუქად ქალაქის ფოსტაში განყოფილების თანამშრომელს გაატანა, რითიც ისარგებლა ფოსტის მუშაკმა, რომლის შვილი ქ. ცაგერის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე იყო, გახსნა პაკეტი და თემები ცნობილი გახადა მოსწავლეთა მშობლებისათვის.

კასპის რაიონის ალაიანის საშუალო სკოლის (დირექტორი რ. ურჩიანი) მე-8 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირი გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ც. იორამაშვილმა შეუვსებელი ოქმი დაუტოვა საგნის მასწავლებელ ე. მამულაშვილს, რომელმაც ისარგებლა ამ შემთხვევით და „შურისძიების“ მიზნით ზოგიერთ მოსწავლეს, რომლებმაც გამოცდაზე „5“-ები მიიღეს, საგამოცდო ოქმში „4“-ები შეუტანა.

ქ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ყ. თუთისანმა მე-8 კლასის მოსწავლე თ. იოსელიანის მშობლის გავლენით ნამუშევარი, რომელიც მისივე შეხედულებით „3“-საც არ იმსახურებდა „5“-ზე შეაფასა. მე-3 საშუალო სკოლის (დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი ბ. ბასილაძე) მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ჩიხლაძე წლების განმავლობაში არაობიექტურად „5"-ზე აფასებდა ოქროს მედლის კანდიდატის ქ. თალაკვაძის საგამოცდო წერით ნამუშევრებს. მე-10 კლასში მე-2 სემესტრის ბოლოს, სახალხო განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული საქალაქო საკონტროლო წერითი ნამუშევარი, იმ მიზნით, რომ განათლების განყოფილებაში სარეცენზიოდ არ გადაეგზავნათ, შეაფასა „4"-ზე, ხოლო სასკოლო დოკუმენტებში შეიტანა „5".

აღნიშნული რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რესპუბლიკურ საკონტროლო წერასა და გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებული დარღვევები მოწმობს, რომ სკოლის ხელმძღვანელებმა და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეასუსტეს შინასასკოლო, აგრეთვე საინსპექტორო კონტროლი, შეურიგდნენ მოსწავლეთა ცოდნის დაბალ ხარისხს, ვერ აღკვეთეს სკოლის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენები, „შპარგალკების" გამოყენების მანკიერი პრაქტიკა.

კვლავ დადგინდა ოქროს მედლის კანდიდატთა შეფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის ფაქტები, მედლის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ მოსწავლეები, რომლებსაც ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში წლიურ ნიშნებად ჰქონდათ „ხუთები", სინამდვილეში კი „ოთხზე" მეტი არ ეკუთვნოდათ. გურჯაანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ლოლაძე) ოქროს მედლის კანდიდატ ლ. ჯადუგიშვილს მე-9 კლასში 1-ელ სემესტრში, უცხოურ ენაში ნაცვლად „4"-ისა, ჰქონდა „5". გურჯაანის 1-ლი საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი, ამჟამად განათლების განყოფილების გამგე ვ. დარჩიაშვილი) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. სეხნიაშვილს მე-9 კლასში 1-ელ სემესტრში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნაცვლად „4/4"-სა, ჰქონდა „5/5", წითელწყაროს მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. გომელაური) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. ყოჩიაშვილს მე-10 კლასში 1-ელ სემესტრში ქართულ ენაში ნაცვლად „4"-სა, ჰქონდა „5", ქარელის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ფ. სვანიძე) ოქროს მედლის კანდიდატ ი. ყიფიანს მე-9 კლასში მე-2 სემესტრში ქართულ ენაში ნაცვლად „4"-სა, ჰქონდა „5", აგარის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. მიქელაძე) ოქროს მედლის კანდიდატს დ. თხელიძეს მე-9 კლასში 1-ელ სემესტრში ქართულ ენაში ნაცვლად „4"-სა, ჰქონდა „5". ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის (დირექტორი კ. ფარცვანია) ოქროს მედლის კანდიდატს მ. ადამიას მე-10 კლასში 1-ელ სემესტრში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნაცვლად „4/4"-სა, ჰქონდა „5/5",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის რაიონის სოფელ ისრითის საშუალო სკოლის (დირექტორი ჯ. ერემეიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატს ლ. ტყეშელაშვილს მე-9 კლასში 1-ელ და მე-2 სემესტრში აგრეთვე მე-10 კლასში 1-ელ სემესტრში ქართული ენისა და ლიტერატურის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „4“-ისა, ჰქონდა „5“. ქ. ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის (დირექტორი დ. აბსავა) ოქროს მედლის კანდიდატს ს. ციმინტიას მე-10 კლასში მე-2 სემესტრში ფიზიკაში ნაცვლად „4“-სა, ჰქონდა „5“. მესტიის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ჯაფარიძე) ოქროს მედლის კანდიდატ ო. მარგიანს მე-9 კლასში 1-ელ სემესტრში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ნაცვლად „4/4“-ისა, ჰქონდა „5/5“, მე-2 სემესტრში ქართული ლიტერატურის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „4“-სა, ჰქონდა „5“, მ. ჩართოლანს მე-10 კლასის 1-ელ სემესტრში ნაცვლად „4“-სა, ჰქონდა „5“.

საინსპექტორო შემოწმებებით ისიც გამოირკვა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი თითქმის ყოველ გაკვეთილზე ატარებს ოქროს მედლის კანდიდატთა გამოკითხვას და შეფასებას, მაშინ, როდესაც საშუალო ან სუსტი მომზადების მოსწავლე სემესტრის განმავლობაში სამ-ოთხჯერ თუ არის შეფასებული.

პედაგოგიური კოლექტივის არაეფექტიანი მუშაობის შედეგად ადგილი აქვს ოქროს მედლის კანდიდატთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდის შემთხვევებს. ქ. ზუგდიდის მე-5, მე-9, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლების (დირექტორები: დ. აბასავა, გ. ველენავა, ა. გერგედავა) ოქროს მედლის კანდიდატებს ს. ციმინტიას, მ. ხაზალიას და დ. ფონიას მე-9 კლასში 1-ელ სემესტრში, მიმდინარე შეფასების საფუძველზე, სემესტრულ ნიშნებად ობიექტურად ჰქონდათ გამოყვანილი შესაბამისად 10, 14, 11 საგანში „4“-ები, ხოლო მე-2 სემესტრში ისინი „ხუთოსნები“ გახდნენ.

რესპუბლიკის არარუსული სკოლების მე-10 კლასებში განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ 1985 წლის 16 მაისს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრების, აგრეთვე საგნის მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო ნაწერების გადასინჯვამ გამოავლინა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, სკოლებისა და განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის სრული უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

გალის რაიონის ოტობაიას მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის რამდენიმე მოსწავლის რესპუბლიკური საკონტროლო წერის ნამუშევარი რუსულ ენაში „2“-ზე იყო შესრულებული, საგნის მასწავლებელმა ვ. ჩეჩინმა „4“-ზე შეაფასა, ესეც არ იკმარა, სემესტრულ და საბოლოო ნიშნებად „5“-ები გამოუყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. გორის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ტატულაშვილი, საგნის მასწავლებელი მ. ვალიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატის ნ. ნუცუბიძის რუსული ენის საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში „3“-ზე ჩამოფასდა, აგრეთვე „3“-ზე ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ მე-2 სამესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევარი. მე-4 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ზექალაშვილი, მასწავლებელი რ. ყანჩაველი) მედლის კანდიდატის მ. ონაშვილის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი „3“-ზე ჩამოფასდა, მე-9 საშუალო სკოლის (დირექტორი მ. აბუაშვილი, მასწავლებელი რ. ცერცვაძე) 2 მედლის კანდიდატის საკონტროლო წერითი ნამუშევრები „3“-ზე ჩამოფასდა. ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჯაფარიძე, საგნის მასწავლებელი თ .რამიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატის მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევრები „3“-ზე ჩამოფასდა, ასპინძის საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ბერიძე, მასწავლებელი ნ. სახვაძე) მედლის კანდიდატის ნ. ნარიმანიძის საკონტროლო წერითი ნამუშევარი „3“-ზე ჩამოფასდა, ადიგენის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. გიორგაძე, მასწავლებელი რ. მუგიმთვი) მედლის კანდიდატის ნ. კუბლაშვილის საკონტროლო წერითი ნამუშევარი „2“-ზე ჩამოფასდა, გარდა ამისა, თითო ნიშნით ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრებიც. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი თ. მიქაძე, საგნის ყოფილი მასწავლებელი ყ. იმედაშვილი) მედლის კანდიდატის ხ. რუხაძის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში „5“-ზე შეფასდა, მაგრამ ორ-ორი ნიშნით ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები. ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. გიორგაძე, მასწავლებელი ლ. მარლუაშვილი) მედლის კანდიდატის ზ. სვიმონიშვილის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში „5“-ზე შეფასდა, მაგრამ მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო ნაწერები ჩამოფასდა ნიშნებზე: „3“, „3“, „4“, ბოგდანოვკის რაიონის სათხის საშუალო სკოლის (დირექტორი ხ. მურადიანი, მასწავლებელი რ. ზაგაროდინა) მედლის კანდიდატების კ. ანანიკიანისა და ა. სანოსიანის მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა ნიშნებზე: „3“, „3“, ტორიის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. გალოიანი, მასწავლებელი ლ. მკრტიჩიანი) მედლის კანდიდატის ე. ტარზიანის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში „3“-ზე ჩამოფასდა. პოგის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კუზმაჩიანი, მასწავლებელი ნ. იორდანოვა) მედლის კანდიატის მ. ჩაპანიანის ნამუშევარი „2“-ზე ჩამოფასდა, თითო ნიშნით ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრებიც. გურჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანის რაიონის ბაკურციხის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ლ… მასწავლებელი ნ. შინგაზრდილოვა) ოქროს მედლის კანდიდატის ლ. ჯადუგიშვილის წერითი ნამუშევარი „3“-ზე ჩამოფასდა, გარდა ამისა, „3“, „3“, ჩამოფასდა მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრებიც. გურჯაანის მე-3 სკოლის (ყოფილი დირექტორი ო. არაყიშვილი, მასწავლებელი ნ. მინდორაშვილი) მედლის კანდიდატის ი. ბალარჯიშვილის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი ჩამოფასდა „3“-ზე, დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ცოცხალაშვილი, მასწავლებელი ნ. ხერკილაძე) მედლის კანდიდატის მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა ნიშნებზე: „3“. „3“ საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ქაიხოსროშვილი, მასწავლებლები: მ. თოლომაშვილი, გ. საყენიუკი) 3 მედლის კანდიდატის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში „3“-ზე ჩამოფასდა, ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი უ. გიორგაძე, მასწავლებელი ლ. ტურძელაძე) მედლის კანდიდატ დ. კუკულაძის ნამუშევარი სამინისტროში „3“-ზე ჩამოფასდა, ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ნაბიჭვრიშვილი, მასწავლებლები თ. ინჯია, ლლონტი) ოქროს მედლის კანდიდატმა ნ. ავაზაშვილმა რუსულ ენაში საკონტროლო წერაზე მიიღო შეფასება „3“. გარდა ამისა, მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა ნიშნებზე „3“, „3“, „3“, თ. სეფაშვილის ნამუშევარი სამინისტროში „3“-ზე ჩამოფასდა, აგრეთვე „3“-ზე ჩამოფასდა სხვა ოქროს მედლის კანდიდატის მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევარიც. მესტიის 1-ლი სკოლის (დირექტორი მ. ჯაფარიძე, მასწავლებელი ე. გუჯეჯიანი) მედლის კანდიდატის მ. ჩართოლანის მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევარი „3“-ზე ჩამოფასდა, მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ბუხულეიშვილი, მასწავლებელი გ. სოფაძე) მედლის კანდიდატმა ს. კოტორეიშვილმა მიიღო „3“, მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევარიც „3“-ზე ჩამოფასდა. ლენტეხის საშუალო სკოლის (დირექტორი კ. მუსელიანი, მასწავლებელი ი. დონვგვანი) მედლის კანდიდატმა ი. ლიპარტელიანმა მიიღო შეფასება „3“, ხაშურის 1-ლი სკოლის (დირექტორი ლ. ებანოიძე, მასწავლებელი ლ. ვაშაკიძე) მედლის კანდიდატმა მ. ახმეტელიშვილმა მიიღო შეფასება „3“, თეთრიწყაროს რაიონის საზანოს საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა ი. დოლონაძემ ოქროს მედლის კანდიდატის თ. გიორგაძის რეს:პუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი ობიექტურად „3“-ზე შეაფასა, ხოლო განათლების განყოფილებამ დაარღვია ამ საკითხზე განათლების სამინისტროს არსებული მითითება და ნამუშევარი გამოითხოვა. რაიონულმა კომისიამ (წევრები: ა. ჩი-

ტიძე, ნ. წერეთელი, ვ. ბაგდაროვი, მ. მარგველაშვილი) იგი „4“-ზე შეაფასა და დასამტკიცებლად სამინისტროში გადმოგზავნა. სამინისტროში ნამუშევარი „3“-ზე ჩამოფასდა; ცხაკაიას მე-2 და მე-3 საშუალო სკოლების (დირექტორები: ი. ბახტაძე, შ. ახალაია, მასწავლებლები: ლ. ხარჩილავა, ე. გოგოლიშვილი) მედლის კანდიდატების კ. სამუშიასა და ბ. ჯანაშიას ნამუშევრები „სამებზე“ ჩამოფასდა. ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. კუტუბიძე, მასწავლებელი კ. ჩხიკვაძე) ოქროს მედლის კანდიდატის ზ. ჩხიკვაძის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი სამინისტროში შეფასდა „4“-ზე, ხოლო მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრებიც ჩამოფასდა ნიშნებზე: „2“, „2“, „3“, აგრეთვე ამავე სკოლის მედლის კანდიდატის კ. ლომინეიშვილის რუსული ენის რესპუბლიკური საკონტროლო წერის ნამუშევარი სამინისტროში შეფასდა „5“-ზე, მაგრამ მასწავლებლის მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები ჩამოფასდა „2“-ზე, „3“-ზე და „3“-ზე. წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ო. ყურაშვილი, მასწავლებელი თ. ხობუა) მედლის კანდიდატის ნ. აკობიძის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი შეფასდა „5“-ზე, მაგრამ ორ-ორი ნიშნით ჩამოფასდა მე-2 სემესტრის საკონტროლო წერითი ნამუშევრები. დასახელებულ მოსწავლეებს სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად უარი ეთქვათ ოქროს მედლით დაჯილდოებაზე.

აღსანიშნავია, რომ ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილებამ მედლის კანდიდატებს რუსული ენის ნაცვლად საკონტროლო წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩაუტარა.

საკონტროლო წერების ჩატარებამ ისიც წარმოაჩინა, რომ ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ ზრუნავს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანაზე. სამინისტროს მიერ არარუსულ სკოლებში რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებულ რესპუბლიკურ წერაში მონაწილეობა მიიღო გამოსაშვები კლასების 39186-მა მოსწავლემ, აქედან შეფასება „5“ მიიღო 802-მა. ხოლო „2“ — 6219-მა; შედარებით უფრო ცუდი შედეგები გამოვლინდა ამბროლაურის. ბოლნისის, დმანისის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, ხაშურის რაიონების (გამგეები: ს. ცირეკიძე, ე. გობეჯიშვილი, მ. გულიევი, ე. ხმალაძე, გ. თავხელიძე, ნ. ოდიშვილი, ნ. ლონლაძე, გ. აბჟანდაძე, ც. ღიბრაძე, ა. ჯიოშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამბროლაურის, დმანისის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მე-10 კლასის არც ერთი მოსწავლის საკონტროლო წერითი ნამუშევარი „5“-ზე არ შეფასებულა, ხოლო „2“-ბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მრავლად დაიწერა; თერჯოლის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-10 კლასების 640 მოსწავლის ნამუშევრიდან „2"-ზე შეფასდა — 318, ხაშურის — 494-დან — 162, ბოლნისის — 836-დან —129, დმანისის — 783-დან — 144, ლაგოდეხის — 546-დან — 141, მაიაკოვსკის — 319-დან — 91, მცხეთის — 472-დან — 150, ორჯონიკიძის — 390-დან — 65, საჩხერის — 583-დან 133; კიდევ უფრო ცუდი შედეგი გამოვლინდა ცალკეულ სკოლებში, მაგალითად: ხაშურის რაიონის ალის საშუალო სკოლის (დირექტორი ჭ. ნოზაძე, მასწავლებელი ე. კულინჯანოვი), 48 მოსწავლიდან შეფასება „2" მიიღო 36-მა, წაღვლის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. გელაშვილი, მასწავლებელი ა. გელაშვილი) 29-დან — 20-მა, ფლევის საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. სტეფანიძე, მასწავლებელი შ. ლომიძე) 18-დან — 12-მა, წრომის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ჯეირანოვი, მასწავლებელი ფ. მამაცაშვილი) 6-დან 5-მა.

მოსწავლეთა ცოდნის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლები გამოვლინდა მათემატიკაში წყალტუბოს ზონის გეგუთის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასში (მასწავლებელი მ. ლაღაძე) ჩატარებულ სარაიონო საკონტროლო წერაზე, სადაც 22 მოსწავლიდან 18-მა შეფასება „2" დაიმსახურა.

აღნიშნული ნაკლოვანებები ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ ბევრ შემთხვევაში სკოლა მოქცეულია იმ მშობლების არაჯანსაღი გავლენის ქვეშ, რომლებიც თავიანთი შვილებისათვის დაუმსახურებლად მაღალი ნიშნების დაწერასა და ჯილდოების გაცემას მოითხოვენ. ასეთი „აქტიური" მშობლების ზეგავლენით ზოგიერთი სკოლის დირექტორი და საგნის მასწავლებელი საბოლოო ნიშნებს წინასწარ გამიზნულად უმაღლებენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც „პოტენციურ მედალოსნებად" ითვლებიან.

სკოლებისა და ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ერკვევა განათლების სამინისტროს მოთხოვნებსა და ძირითად მიმართულებებში, ვერ უზრუნველყოფს იმ დიდი მოვალეობის შესრულებას, რაც სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს აკისრიათ სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს თავიდანვე აჩვევენ აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლებას, მათთვის დაუმსახურებელი მაღალი ნიშნების წერას, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1984—1985 სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით 542 ოქროს მედლის კანდიდატიდან სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული საინსპექტორო შემოწმებებისა და საგაზაფხულო გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდების შედეგად 332-მა ვერ მიიღო შეფასება „5“ და ოქროს მედლის კანდიდატთა რიგებს გამოეთიშა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ცალკეული რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სახელდობრ: ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის (ამხ. ლ. მნათობიშვილი) სკოლების 37 მედლის კანდიდატიდან მედლის მოპოვების უფლება დაკარგა 19-მა, ორჯონიკიძის რაიონის (ამხ. ნ. სოსელია) — 30-დან—9-ამ, პირველი მაისის რაიონის (ამხ. რ. მღებრიშვილი) — 9-დან — 7-მა, 26 კომისრის რაიონის (ამხ. ა. ლამბაშიძე) — 8-დან — 5-მა, კალინინის რაიონის (ამხ. ე. ძნელაძე) — 29-დან — 17-მა, გლდანის რაიონის (ყოფილი გამგე ამხ. ყ. ხელაშვილი) — 8-დან — 6-მა. ოქტომბრის რაიონის (ამხ. თ. ანდრიაძე) — 6-დან — 6-მა, ქ. ფოთის (გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. კვიკვინია) 12-დან — 12-მა, ქ. გორის (ამხ. ნ. კახნიაშვილი) — 14-დან — 8-ამ, ქ. ზუგდიდის (ამხ. მ. ქავთარაძე) — 20-დან — 20-მა, ქ. ჭიათურის (ამხ. ნ. წერეთელი) — 9-დან — 6-მა, ახალქალაქის რაიონის (ამხ. ს. ჯაგაცპანიანი) — 8-დან — 8-ამ, ბოლნისის (ამხ. ე. გობეჯიშვილი) — 6-დან — 5-მა, ბორჯომის რაიონის (ამხ. ნ. ჩადუნელი) 8-დან — 7-მა, გურჯაანის რაიონის (ამხ. ვ. დარჩიაშვილი) — 5-დან — 5-მა, დმანისის რაიონის (ამხ. მ. გულიევი) — 3-დან 3-მა, ზესტაფონის რაიონის (ამხ. გ. ბურჯანაძე) — 7-დან 6-მა, ქარელის რაიონის (ამხ. ვ. ბაქრაძე) — 3-დან — 3-მა, ყვარლის რაიონის (ამხ. ზ. იოსებაშვილი) — 10-დან — 6-მა, მარნეულის რაიონის (ამხ. ბ. კალაევი) — 3-დან — 3-მა, მესტიის რაიონის (ამხ. ა. ჩხვიმიანი) — 4-დან — 4-მა, საგარეჯოს რაიონის (ამხ. ნ. ჭანტურია) — 9-დან — 5-მა, სამტრედიის რაიონის (ამხ. კ. ძნელაძე) 7-დან — 7-მა, სიღნაღის რაიონის (ამხ. რ. ბექაშვილი) — 3-დან — 3-მა, თელავის რაიონის (ამხ. ა. თვალიაშვილი) — 10-დან — 7-მა, ხაშურის რაიონის (ამხ. ა. ჯიოშვილი) 7-დან — 6-მა, წალკის რაიონის (ამხ. ხ. ანასტასოვი) 4-დან 4-მა, წულუკიძის რაიონის (ამხ. ო. ადამია) 4-დან — 4-მა, ჩოხატაურის რაიონის (ამხ. ლ. თოდუა) 5-დან — 5-მა, ქ. სოხუმის (ამხ. მ. მალიშავა) 27-დან — 11-მა, გალის რაიონის (ამხ. ლ. შენგელია) 9-დან 7-მა, სოხუმის რაიონის (ამხ. მ. ლეთოდიანი) 7-დან — — 6-მა, ქ. ბათუმის (ამხ. ზ. კომახიძე) 32-დან — 19-მა, ქედის რაიონის (ამხ. მ. ზაქარაძე) 3-დან — 3-მა, ზნაურის რაიონის (ამხ. ი. გაგლოევი) 3-დან — 3-მა, ცხინვალის რაიონის (ამხ. გ. ჯიოევი) 3-დან — 3-მა

უფრო მეტი, ქ. ტყიბულის, წყალტუბოს ზონის, ქ. მარნეულის, ქობულეთის, ლენინგორის, ჯავის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის რაიონებს (ამხ. ამხ. ბ. ორჯონიკიძე, მ. ინასარიძე, ა. ალიევი, ლ. მესხიძე, ი. მარგიევი, ს. ცხოვრებოვი, ა. ხუროძე, ნ. ოდიშვილი, ჯ. მეტრეველი, შ. ლონდაძე) გამოსაშვებ მე-10 კლასებ-

ში ოქროს მედლის კანდიდატიც კი არ ჰყოლიათ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დასახელებული სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სათანადოდ არ მუშაობენ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ფორმალურად ეკიდებიან განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისა და რეალიზაციის საქმეს.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები დეტალურად არ სწავლობენ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არ აანალიზებენ იმ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის საკითხებს, რომლებიც კმაყოფილდებიან საშუალო აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებთან მუშაობით, არ ზრუნავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოცდილი კოლექტივების მიერ რეკომენდებული ახალი მეთოდების დანერგვაზე. დაბალი კვალიფიკაციისა თუ არაეფექტიანი მუშაობის გამო ვერ ახერხებენ მოსწავლეთა სათანადო დონეზე მომზადებას. ამდენად, რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები, სადაც წლების განმავლობაში არც ერთი მოსწავლე არ დაუჯილდოვებიათ ოქროს მედლით, არ გაუმარჯვნიათ საგნობრივ ოლიმპიადებში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში.

სკოლებისა და ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების საგრძნობი ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიების დაკომპლექტების საქმეს, მის შემადგენლობაში შეიყვანეს ნაკლებად კომპეტენტური, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რომლებმაც ბოლომდე ვერ განახორციელეს სამართლიანი მოთხოვნები, ვერ ან არ შეამჩნიეს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და განათლების სამინისტროში ოქროს მედლის კანდიდატთა ისეთი ნამუშევრები წარმოადგინეს, რომლებიც „5“-ზე შეფასებას არ იმსახურებენ. უფრო მეტი, იყო შემთხვევები წარმოდგენილი საგამოცდო წერითი ნამუშევრების „3“-ზე შეფასებისა. სარეცენზიო კომისიების მიერ ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემაშფოთებელ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. ქ. ზუგდიდის, ფოთის, გორის, ცხინვალის, წულუკიძის, სოხუმისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ქ. ზუგდიდიდან (გამგე მ. ქავთარაძე) მშობლიური ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები (მეთოდური კაბინეტის მეთოდისტები ლ. ქანთარია და მ. ზარანდია. მე-2, მე-5, მე-7 საშუალო სკოლების დირექტორები: ც. ქირია, დ. აბსავა, ა. თოლორაია, მასწავლებლები: ნ. ტელეპშიაკი, ნ. ბესენოვა) წარმოდგენილი 10 ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა — 10-ს, ქ. ფოთიდან (გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. კვიკვინია, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბახტაძე, ი. მეტრეველი, თ. კუტალია) წარმოდგენილი 6 ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა 6-ს, მათ შორის მე-5 საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. ქილიფთარი) — 3; ქ. გორიდან (გამგე ნ. კახნიაშვილი, კომისიის წევრები: ჟ. გველესიანი, ქ. აბასაშვილი) — 10-დან 4-ს, აქედან 1-ლი საშუალო სკოლიდანაა (დირექტორი ნ. ტატულაშვილი) —3; ქ. ცხინვალიდან (გამგე რ. თადტაევი) 13-დან — 3-ს; ქ. ბათუმიდან (გამგე ზ. კომახიძე) 15-დან 2-ს; ქ. რუსთავიდან (გამგე გ. თავართქილაძე) 2-დან — 1-ს, ქ. ჭიათურიდან (გამგე ნ. წერეთელი) 4-დან — 1-ს; ვანის რაიონიდან (გამგე ა. ენუქიძე) 2-დან — 2-ს, გარდაბნის რაიონიდან (გამგე ზ. ზაქარეიშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ნ. კოვალჩუკი, ვ. რაგიმოვა) წარმოდგენილი 2 ნამუშევრიდან მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. ზუდოვა, საგნის მასწავლებელი ა. ჟიგალოვა) მოსწავლე ი. მამედოვას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში დაეწერა „4/3"-ზე, ზუგდიდის რაიონიდან (გამგე ნ. კალანდია) 3-დან — 1-ს, ქარელის რაიონიდან (გამგე ვ. ბაქრაძე) 2-დან — 2-ს, ყვარლის რაიონიდან (გამგე ზ. ოსეპაშვილი) 6-დან — 2-ს, მესტიის რაიონიდან (გამგე ა. ჩხვიმიანი) 2-დან — 2-ს. საგარეჯოს რაიონიდან (გამგე ნ. ჭანტურია) 6-დან — 2-ს, სამტრედიის რაიონიდან (გამგე კ. ძნელაძე) 2-დან — 2-ს, მათ შორის მე-4 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. კოროლჩუკი, საგნის მასწავლებელი ვ. გილკა) მოსწავლე ლ. გრიგოლიას საგამოცდო წერითი ნამუშევარი რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩამოფასდა „4/3"-ზე; სიღნაღის რაიონიდან (გამგე რ. ბეჟაშვილი) 1-დან — 1-ს; ხობის რაიონიდან (გამგე შ. ხარებავა) 2-დან 1-ს, წალენჯიხის რაიონიდან (გამგე ტ. ჯანჯღავა) 2-დან — 2-ს, წალკის რაიონიდან (გამგე ხ. ანასტასოვი) 1-დან — 1-ს, წულუკიძის რაიონიდან (გამგე ო. ადამია, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ლ. მელაძე, შ. მელაძე, ვ. ხობუა, ნ. რუხაძე) 4-დან — 4-ს, ცხაკაიას რაიონიდან (გამგე კ. შარტავა) 5-დან — 1-ს, ჩოხატაურის რაიონიდან (გამგე ლ. თოდუა) 2-დან — 2-ს, ჩხოროწყუს რაიონიდან (გამგე დ. გორდულაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის სარეცენზიო კომისიის წევრები: ლ. ნაჭყებია, დ. ხარჩილავა, დ. დარასელია) წარმოდგენილი 3 ნამუშევრიდან 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ი. პაპავა, საგნის მასწავლებელი რ. ქვარცხავა) მოსწავლის ა. ლაგვილავას ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუშევარი ჩამოფასდა „4/3"-ზე, სოხუმის რაიონიდან (გამგე ლ. ლეთოდიანი) 4-დან — 3-ს— ყველა სოფელ გუმისთის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. გუველიანი) მოსწავლეა; ჯავის რაიონიდან (გამგე ს. ცხოვრებოვი) 2-დან — 1-ს.

ზემოთ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ ოქროს მედალოსანთა საგამოცდო წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები განპირობებულია მშობლიური

ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების საგნების პროგრამით გათვალისწინებული მასალების დაბალი ცოდნით.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებიდან და სახალხო განათლების განყოფილებებიდან წარმოდგენილ ოქროს მედლის კანდიდატთა მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუშევრების ანალიზით ირკვევა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიტყვიერების მასწავლებელთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სათანადო დონეზე წარმართოს საგნის სწავლება, კურსდამთავრებულებს მისცეს მკვიდრი ცოდნა პროგრამით გათვალისწინებული მასალის ფარგლებში. ზოგიერთი სკოლის კურსდამთავრებულს არა აქვს მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობას, ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის დავიწყებას ან პრაქტიკაში მისი გამოყენების უუნარობისა და ლექსიკური შეზღუდულობის შემთხვევებს. კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად იცნობს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ტექსტს, რის გამოც ვერ ერკვევა მის დედააზრსა და დანიშნულებაში, არ აქვს აზრის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი. მსჯელობა, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიულია და მოკლებულია დამაჯერებლობას, მათს ნაშრომებში დაშვებულია ფაქტობრივი, სტილური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სხვა სახის შეცდომები.

ასეთივე მდგომარეობა იკვეთება ალგებრა და ანალიზის საწყისების საგამოცდო წერითი ნამუშევრების განხილვის შედეგადაც. როგორც გამოირკვა, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არა აქვს ნათელი წარმოდგენა ფუნქციის კრიტიკული წერტილების, მინიმუმისა და მაქსიმუმის პოვნის შესახებ, ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ფუნქციის წარმოებულის მნიშვნელობას რაიმე $x_0$ წერტილზე და $x_0$ წერტილზე ფუნქციის მნიშვნელობის წარმოებულს.

სერიოზული ხასიათის შეცდომები არის დაშვებული ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნისას, სამწუხაროდ, ოქროს მედლის ზოგიერთმა კანდიდატმა კარგად არ იცის უმარტივეს ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნის ზოგადი ფორმულა, ამიტომ $tg x = a$ ამოხსნისათვის კმაყოფილდება $x = arctg\ a$ ამოხსნის დაწერით და არავითარ ანგარიშს არ უწევს ფუნქციის პერიოდს; ზერელედ და არასაფუძვლიანად აქვს გაგებული $\log_2{}^2 x$ და $\log_2 x^2$ გამოსახულებათა აზრი, მათი რადიკალური და შინაარსობრივი განსხვავება, რის გამოც ლოგარითმული განტოლების ამოხსნისას უშვებს უხეშ შეცდომას და $2\log_2 x^2 - 5\log_2 x + 2 = 0$ განტოლებას განიხილავს და ხსნის, როგორც კვადრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტულ განტოლებას $\log_2 x$ -ის მიმართ.

ლოგარითმულ განტოლებათა ამოხსნისას ყურადღებას არ აქცევენ განტოლებაში შემავალი ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა დადგენას ან განტოლების ამოხსნისას უცნობის მიღებულ მნიშვნელობათა შემოწმებას. ზოგიერთი არასრულყოფილად წყვეტს უტოლობათა სისტემაზე მიცემულ მაგალითს, ყოველგვარი განმარტების გარეშე აგებს ნახაზს, არ იცის მკაცრ და არამკაცრ უტოლობათა შორის განსხვავება, მცდარი წარმოდგენა აქვს უტოლობათა სისტემის ამოხსნათა სიმრავლის მიმართ, ამიტომ უხეშ შეცდომებს უშვებს პასუხის დაწერისას და წერს, რომ „მოცემულ უტოლობათა სისტემის ამონახსნი არის ნახაზზე დაშტრიხული ფიგურის ფართობი“.

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები პრინციპულ მომთხოვნელობას ვერ იჩენენ პედაგოგიური კოლექტივებისადმი, სუსტად აკონტროლებენ მათ საქმიანობას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეს, არ არის შექმნილი ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის ერთიანი სისტემა.

საგაზაფხულო გამოცდების შედეგად რესპუბლიკის საშუალო სკოლების მე-10 კლასის 34 მოსწავლე იმავე კლასში იქნა დატოვებული, ხოლო 306 მოსწავლე სკოლიდან მოწმობით გავიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ხელმძღვანელთა მიერ გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. გარდაბნის რაიონის სკოლების მე-10 კლასის 36 მოსწავლეს მიეცა მოწმობა კურსის მოსმენის შესახებ, მარნეულიდან — 17 -ს, თეთრწყაროდან — 14-ს, მახარაძიდან — 10-ს, ბოგდანოვკიდან — 9-ს, გორიდან — 9-ს, ახალქალაქიდან — 8-ს, ბოლნისიდან — 8-ს.

აღსანიშნავია, რომ სკოლების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი არამც თუ უხეშად არღვევს განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციას „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“, არამედ ამჟღავნებს მისი შინაარსისა და მოთხოვნების სრულ უცოდინარობას, რის შედეგადაც საშემოდგომო გამოცდამიცემული 2696 მოსწავლიდან 183 აღმოჩნდა 1-ლი, მე-7 და მე-9 კლასების მოსწავლე. აქედან პირველკლასელია 4, მეოთხეკლასელია 8, მეხუთეკლასელია 13, მეექვსეკლასელია 28, მეშვიდეკლასელია 32, მეცხრეკლასელია 89, ამ მხრივ შედარებით ცუდი მდგომარეობაა ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, აგრეთვე ლენტეხის, მარნეულის, მახარაძის, მცხეთის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, წითელწყაროს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დარღვევები იმითაცაა განპირობებული, რომ ერთი სკოლისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელმა უგულებელყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის № 2-2 გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, მოადუნა ყურადღება მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდისადმი, რის შედეგადაც 1983—1984 სასწავლო წელთან შედარებით გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა 1294554-დან 1316131-მდე გაიზარდა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა წყალტუბოს ზონის, ადიგენის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, დუშეთის, ვანის, მესტიის, მცხეთის, ონის რაიონების (გამგეები: მ. ინასარიძე, გ. ზაზაშვილი, პ. გაბრიელიანი, ზ. წითელაური, ე. გობეჯიშვილი, ვ. გოგოლაური, ა. ენუქიძე, ნ. ოდიშვილი, ჯ. მეტრეველი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. წყალტუბოს ზონის სკოლებში 1983—1984 სასწავლო წელთან შედარებით გასულ სასწავლო წელს 5000 აკადემიური საათით გაიზარდა მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა, ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პედაგოგიური კოლექტივები არ აღრიცხავენ მოსწავლეთა მიერ გაცდენილ გაკვეთილებს, მაშინ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. შემოწმების დღეს ქ. წყალტუბოს მე-3, სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის საშუალო სკოლების 99 მოსწავლის მიერ გაცდენილი გაკვეთილი არ იყო აღრიცხული საკლასო ჟურნალებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე არაერთხელ აღინიშნა სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის მიერ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და სკოლის ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში გატარებული არაეფექტიანი ღონისძიებების შესახებ. სამინისტრომ სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებს მოსთხოვა ძირეულად გარდაექმნათ პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სრულეყოთ და დაეხვეწათ მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

სამინისტრო იმედოვნებდა, რომ სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ და შექმნიდნენ მაღალპრინციპული მომთხოვნელობის, შეურიგებლობის ატმოსფეროს სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენებისა და ფორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზმის აღმოფხვრისათვის. ძირითადად ეს ასეც მოხდა, საგრძნობ წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მონაკვლევი მასალები ცხადყოფენ, რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკები, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ იმყოფებიან წარსულის მავნე გავლენის ქვეშ. თავიანთი საქმიანობით აფერხებენ საერთო წინსვლას, სახელს უტეხენ სახალხო განათლების სისტემას, ხელს უწყობენ არაჯანსაღი ატმოსფეროს შენარჩუნებას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, თავიანთი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებით ჩირქს სცხებენ პედაგოგის წმინდა სახელს.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების დღის განყოფილებაზე შემსვლელ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ, უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების მიერ განხორციელებულ მრავალმხრივ ღონისძიებათა მიუხედავად, სკოლების გარკვეულ ნაწილში არ მომხდარა ძირეული გარდატეხა წარსულის მავნე გადმონაშთების, ცხოვრების ნეგატიური მოვლენების, ჩვენი სოციალისტური კანონიერების ანტიპოდების, საზოგადოებრივი მორალის ნორმების დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, უფრო მეტი, ცალკეულ სკოლებში კვლავ ადგილი აქვს ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს.

ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, აგრეთვე ზუგდიდის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, ხაშურის, ვანის, მახარაძის, ლენინგორის, თელავის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შერჩევითმა შემოწმებამ გამოავლინა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და კურსდამთავრებულთა ატესტატების შევსებისა და გაცემის საქმეში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში ფეხმოკიდებული არასწორი, მავნე პრაქტიკა.

დადგენილია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლების, ნიშნების გადასწორების, საკლასო ჟურნალში ყალბი ნიშნების შეტანის, კომბინატორული შეერთებით მიღებული ახალი, ყალბი ატესტატის შევსებისა და გაცემის შემთხვევები.

მსგავსი დარღვევები მიუთითებენ სკოლის ცალკეულ მუშაკთა და მშობელთა შორის არსებულ არაჯანსაღ ურთიერთობაზე, რაც ცალკეულ შემთხვევებში აშკარა თანამდებობრივ დანაშაულში გადადის.

სასკოლო პრაქტიკაში, სკოლასა და ცალკეულ მშობელთა ურთიერთობაში გამოვლენილი მახინჯი დამოკიდებულების ფაქტები გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას, რყვნის მოზარდის ფსიქიკას, სახელს უტეხს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ სკოლების სამმართველოს ცნობა (თან ერთვის) „ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების დღის განყოფილებაზე შემსვლელ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ“. დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; უმკაცრესი ზომები მიიღონ მათ მიმართ, ვინც არღვევს სახელმწიფო, შრომითს და საშემსრულებლო დისციპლინას.

2. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული დარღვევებისათვის, რაც სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების სარეცენზიო კომისიების მიერ ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების შეფასების გაუთვალისწინებლობაში გამოიხატა, დირექტორებს: შ. ჯინჭარაძეს (ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. ბუხულეიშვილს (მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მე-2 საშუალო სკოლა), ჯ. კახიანს (მესტიის რაიონის სოფელ მუჟალის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და ატესტატების შევსების საქმეში დაშვებული სიყალბისათვის ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალი კახათის საშუალო სკოლის დირექტორი დ. კვარაცხელია განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

დაევალოს ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ნ. კალანდიას განიხილოს სოფელ ახალ კახათის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის ვ. თუზბაიას თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობისა და მასწავლებელ ლ. ტოგონიძის დამატებითი, რიგგარეშე ატესტაციის საკითხი.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაშვებული დარღვევებისათვის ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ჯიოშვილი, ქ. თბილისის კიროვის რაიონის განათლებს განყოფილების გამგე ე. გურსკაია და სასკოლო ინსპექტორი ლ. გოგიავა გათავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

5. ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორის თ. ლაბაძისა და მოსწავლის მშობლის ჯ. ამილახვრის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატება ორ სხვადასხვა წელს გამოცემული ატესტატის შეერთებით მიღებული ერთი ახალი, ყალბი ატესტატის გაკეთებასა და მასში ფიქტიური შეფასების ნიშნების შეტანაში, გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს.

6. გაუქმდეს ქ. თბილისის 67-ე და ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ კახათის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებზე რ. ამილახვარსა და მ. კვარაცხელიაზე გაცემული ყალბი ატესტატები № 559920, № 560233, № 382912, № 562202.

7. ეს გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების დღის განყოფილებაზე შემსვლელ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, დაწყებული 1977 წლის დეკემბრიდან, განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის წესის სერიოზული დარღვევების შესახებ“, „რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“, „სახალხო განათლების მუშაკთა შორის დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამასთან, 1980 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წერილით მიმართა რესპუბლიკის ყველა მასწავლებელს და სახალხო განათლების სისტემის მუშაკს „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“. მომდევნო წლებში ტრადიციად იქცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების განხილვა. სამინისტრომ სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებს მოსთხოვა ძირეულად გარდაექმნათ პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სრულეყოთ და დაეხვეწათ მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

სამინისტრო იმედოვნებდა, რომ სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ, შექმნიდნენ მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და შეურიგებლობის ატმოსფეროს სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ზოგიერთი სკოლისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელმა უგულებელყო განათლების სამინისტროს მოთხოვნები, თვითონ მოექცა „გავლენიანი“ მშობლების ზემოქმედების ქვეშ, ჩაიდინა საბჭოთა მასწავლებლისათვის მიუღებელი საქციელი. სკოლისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა უუნარობის, დოყლაპიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის და ზოგჯერ განზრახ წაყრუების შედეგად სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და კურსდამთავრებულთა ატესტატების გა[illegible] დამკვიდრებული ლიბერალიზმის, პროტექციონიზმისა და მაამებლობის მავნე პრაქტიკა გადაიზარდა მოსწავლეთათვის ყალბი ატესტატების გაცემაში

ზესტაფონის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე რ. ჯ. ამილახვარი, როგორც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური ნაკრები გუნდის კანდიდატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოების უფროსების ნებართვით 1985 წლის 21 იანვრიდან გადაყვანილია ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის (დირექტორი თ. ლაბაძე) მე-10 კლასში.

საბოლოო შეფასების მიხედვით მოსწავლეს 3 საგანში უწერია „3“-ები, 12 საგანში კი „4“-ები.

საქართველოს კპ კიროვის რაიკომის ბიუროს 1985 წლის 19 ივნისის დადგენილებით ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორი თ. ლაბაძე, მუშაობაში დაშვებული დარღვევების გამო, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. მის მოვალეობათა შესრულება დაევალა დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. გაბისონიას.

რ. ამილახვრის საშუალო განათლების ატესტატის № 559920 შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა. კერძოდ, საზოგადოებათმცოდნეობაში ნაცვლად „3“-ისა, შეტანილია „4“, ხოლო ასტრონომიაში ნაცვლად „4“-ისა — „3“. ამიტომ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გ. გაბისონიამ განათლების განყოფილებიდან (გამგე ე. გურსკაია) მიიღო ატესტატის ახალი ბლანკი № 560233 და შეავსო იგი.

1985 წლის 25 ივნისიდან გ. გაბისონია კუთვნილ შვებულებაში გავიდა და დირექტორის მოვალეობის შესრულება სამეურნეო ნაწილში დირექტორის თანაშემწეს თ. ასლამაზოვს დაავალა, რომელსაც დაუტოვა სკოლის ბეჭედი და რამდენიმე ცალი შევსებული ატესტატი, მათ შორის რ. ჯ. ამილახვრის ატესტატიც. 11 ივლისს სკოლაში ყოფილი დირექტორი თ. ლაბაძე და მოსწავლის მშობელი ჯ. ამილახვარი მოვიდნენ და ატესტატი გაიტანეს. რამდენიმე დღის შემდეგ სკოლაში კვლავ გამოცხადდა მოსწავლის მშობელი ჯ. ამილახვარი და წარადგინა მილიციის დასტური № 560233 ატესტატის დაკარგვის შესახებ, მოითხოვა დუბლიკატი, რაზედაც უარი მიიღო.

შემოწმებისას დადგინდა, რომ 1983 წელს 67-ე საშუალო სკოლა (დირექტორი თ. ლაბაძე) 19 მოსწავლემ დაამთავრა, მათ შორის ერთმა ოქროს მედალზე. განათლების სამინისტროში ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების განხილვამდე კიროვის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ე. გურსკაია, მოწმობა ატესტატების მიღება-გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემაზე პასუხისმგებელი სასკოლო ინსპექტორი ლ. გოგიავა) სკოლის დირექტორს 19 ცალი ატესტატი გადასცა, ე. ი. იმდენი, რამდენი მოსწავლეც მე-10 კლასში ირიცხებოდა. ოქროს მედლის მინიჭების შემდეგ სკოლის დირექტორს განათლების განყოფილებაში არ დაუბრუნებია ჩვეულებრივი ნიმუშის ერთი შევსებული ატესტატის ბლანკი № 382912, რომელიც არც განათლების განყოფილებას მოუთხოვია.

მოსწავლე რ. ჯ. ამილახვარზე გაცემულ იქნა სკოლაში შემონახული 1983 წლის გაუცემელი ატესტატი № 382912, რომელშიც აღნიშნულ მოსწავლეს ყველა საგანში „ფრიადი" უწერია, თუმცა ატესტატის გარე ყდაზე გამოშვების თარიღად წერია 1985 წელი, ე. ი. 1983 წელს გამოცემული № 382912 ატესტატისა და 1985 წელს გამოცემული № 560233 ატესტატის შეერთებით შეიქმნა ახალი, ყალბი ატესტატი. მოსწავლე რ. ჯ. ამილახვარზე გაცემულ იქნა აგრეთვე ყალბი დახასიათება.

აღნიშნული სიყალბე ჩადენილია ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის თ. ლაბაძისა და მოსწავლის მშობლის ჯ. ამილახვრის ერთობლივი მოქმედებით.

დანაშაული არ მოხდებოდა, რომ განათლების განყოფილების გამგეს ე. გურსკაიას და სასკოლო ინსპექტორს ლ. გოგიავას არ გამოეჩინათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, თავის დროზე მოეთხოვათ სკოლის დირექტორის თ. ლაბაძისათვის გატანილი ჩვეულებრივი ნიმუშის ზედმეტი ატესტატის დაბრუნება.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალი კახათის საშუალო სკოლის (დირექტორი დ. კვარაცხელია) მე-10 კლასის მოსწავლეს მ. კვარაცხელიას, რომლის დედა, ლ. ტოგონიძე, ამავე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, საგაზაფხულო გამოცდებზე ქართულ ენაში, ალგებრა და ანალიზის საწყისებში მიუღია „4"-ები, ხოლო დანარჩენ საგნებში — „5"-ები.

ატესტატების შემვსებლებმა: დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. თუზბაიამ (ქართულ ენაზე) და ლ. ტოგონიძემ (რუსულ ენაზე), დირექტორის ნებართვით მ. კვარაცხელიას ატესტატში ნაცვლად „4"ებისა „5"-ები შეიტანეს. ამრიგად, მ. კვარაცხელიამ მიიღო ატესტატი, რომელშიც ყველა საგანში „5"-ები ეწერა.

ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ჯინჭარაძე) ოქროს მედლის კანდიდატის ხ. ბუაძის რესპუბლიკური საკონტროლო წერითი ნამუშევარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ „5/4"-ზე შეაფასა, მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო ნაწერები კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„4/4“-ზე. „5/5“-ზე, „4/4“-სა და “5/4“-ზე. მიუხედავად ამისა, მოსწავლეს მე-2 სემესტრში ქართულ ენაში ნაცვლად „4“-სა „5“ უწერია და მასზე გაცემულ ატესტატში ყველა საგანში „5“-ებია შეტანილი.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ბუხულეიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატმა ს. კოტორაშვილმა რესპუბლიკურ საკონტროლო წერაზე რუსულ ენაში „3“ მიიღო. მასწავლებლის მიერ ჩატარებული საკონტროლო ნაწერების ნიშნები სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ შესაბამისად „4“-სა და „3“-ზე შეაფასა, რის შემდეგ მოსწავლეს მე-10 კლასის მე-2 სემესტრში რუსულ ენაში ნაცვლად „4-“-სა მაინც „5“ ეწერა და მასზე გაცემულ იქნა ატესტატი, რომელშიც ყველა საგანში „5“ იყო შეტანილი.

მესტიის რაიონის სოფელ მუჟალის საშუალო სკოლის (დირექტორი ჰ. კახიანი) ოქროს მედლის კანდიდატის ხ. იოსელიანის საგამოცდო წერითი ნამუშევარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლისა და რაიონის საგამოცდო სარეცენზიო კომისიებმა „5/5“-ზე შეაფასეს. განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ იგი „4/5“-ზე ჩამოაფასა. სკოლის ხელმძღვანელობამ კი ატესტატში მაინც „5“ შეიტანა.

ხაშურის რაიონის მე-3 საშუალო სკოლის (ყოფილი დირექტორი მ. ლაბაძე) ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიამ ოქროს მედლის კანდიდატის მ. ახმეტელაშვილის ნამუშევარი „5/5“-ზე შეაფასა, ხოლო რაიონის განათლების განყოფილების სარეცენზიო კომისიამ ეს ნიშანი „4/4“-ზე ჩამოაფასა. განათლების განყოფილების გამგემ ა. ჯიოშვილმა. ლიტერატურის ნიშანი „4“ „5“-ზე გადაასწორა, ხელი მოაწერა და ბეჭდით დაამოწმა. ამგვარად, კურსდამთავრებულმა გაიტანა ატესტატი, რომელშიც ყველა საგანში „5“-ებია შეტანილი.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი, მისცა მას პრინციპული შეფასება და განათლების განყოფილების გამგე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის, ნიშნების ამოშლის, ჩასწორების, მიმდინარე შეფასების გარეშე სემესტრული ნიშნების გამოყვანის, სკოლაში დაცულ დოკუმენტებში ნიშნების არასწორად გადატანის ფაქტები გამოვლინდა თბილისის 145-ე, ქუთაისის მე-3, ვანის, მახარაძის, ლენინგორის რაიონების სოფლების ამაღლების, ძიმითის, იკორთის საშუალო სკოლებში (დირექტორები: დ. კრავეიშვილი, თ. დახუნდარიძე, ზ. ჯანელიძე, ზ. ხარატი, ყოფილი დირექტორი ე. ხუბაევა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლების შემთხვევებს ადგილი აქვს თბილისის 162-ე, 137-ე, მე-60 და ქუთაისის მე-12, 28-ე, თელავის მე-5 საშუალო სკოლებში (ყოფილი დირექტორები: ი. ცინცაძე, გ. ღლონტი, დირექტორები: გ. ზენაიშვილი, დ. ხარაბაძე, ე. თუთბერიძე, ლ. მუმლაური). მოსწავლეებს ი. კობალაძეს, დ. ბალაშვილს, გ. ნადირაძეს, ნ. წკეპლაძეს, ზ. ბერიძეს, ლ. ძამუკაშვილს მე-10 კლასის 1-ლ სემესტრში 8-11 საგანში „4“-ები უწერიათ, მე-2 სემესტრში კი „ფრიადოსნები“ გამხდარან და სკოლიდან წაიღეს ატესტატები, რომელშიც ყველა საგანში „5“-ები უწერიათ.

ამ ცნობაში აღნიშნულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ჩარიცხულია და სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1-ლ კურსზე.

ზემოაღნიშნული უხეში დარღვევები ჩრდილს აყენებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, საქართველოს მასწავლებელთა ძირითად ჯანსაღ და უნარიან კოლექტივს და, რაც მთავარია, უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაზე.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება

### მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის აგვისტოს კონფერენციებისა და რესპუბლიკის სკოლამდელ და ინტერნატულ დაწესებულებებში 1985—1986 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის აგვისტოს კონფერენციებმა მაღალორგანიზებულ, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. კონფერენციებზე მკვეთრად გამოიკვეთა სახალხო განათლების სისტემაში მომხდარი ძვრები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების შუქზე.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დროულად დაიწყო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიმდინარე წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცებული 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმით განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ამოცანები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დროულად მოემხადა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის. შემუშავდა და ადგილებზე დაიგზავნა მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციისათვის.

კონფერენციებზე შეჯამდა ჩატარებული მუშაობის შედეგები და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის.

განათლების სამინისტროს მუშაკების მიერ ადგილებზე ჩატარებული მუშაობით დადგინდა, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ახალი სასწავლო წელი ძირითადად ორგანიზებულად დაიწყო.

განმტკიცდა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზები. 1 სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში შევიდა 40 საშუალო სკოლის ახალი შენობა, 54 სკოლამდელი დაწესებულება, 1 სასკოლო ინტერნატი, 4 მასწავლებელთა სახლი.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 აპრილის № 85 და შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის დადგენილებებმა „ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მიმდინარე სასწავლო წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახალი საბავშვო სახლის შენობა ასპინძაში.

საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს შეფი ორგანიზაციების აქტიური სამეურნეო და ეკონომიური დახმარებით ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება, შეივსო აუცილებელი, რბილი და მაგარი ინვენტარით.

1985—1986 სასწავლო წლისათვის მზადებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშენებარე სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ავეჯითა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით დაკომპლექტების საკითხს. ახალ სასწავლო წელს მშენებარე სკოლებმა მიიღეს 900,0 ათასი მანეთის სასკოლო, 3000,0 ათასი მანეთის საყოფაცხოვრებო-საკანცელარიო ავეჯი, 500,0 ათას მანეთამდე თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებები. სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ახალი სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მიიღეს 1000 ცალი სპეციალური მაგიდა შრომითი სწავლებისათვის, 1400 ცალი საკერავი მანქანა და 100.0 ათასი მეტრი ქსოვილი პოლიტექნიკური სასწავლებლებისათვის. 150,0 ათას მანეთამდე საერთო ღირებულების სხვადასხვა ჩარხებით, დაზგებითა და დანადგარებით შეივსება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების სახელოსნოები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმე. მარტო მიმდინარე წელს მათ გამოეყოთ 10 ავტომანქანა, მათ შორის 2 ავტობუსი.

ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა და მისმა ფილიალებმა მიიღეს აქატის ტიპის გამოთვლითი მანქანების 8 კომპლექტი, ხოლო წლის ბოლომდე დამატებით გამოიყოფა იმპორტული გამოთვლითი ტექნიკის 5 კომპლექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მუშაობა ჩატარდა სკოლების სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით. მომზადდა და მასწავლებელთა დასახმარებლად ადგილებზე დაიგზავნა 11-წლიანი სწავლების I და II კლასების მეთოდიკური მითითებები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში; დაიგზავნა პროგრამები, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის. ამ მიზნით განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და ადგილებზე დაგზავნა მთელი რიგი დებულებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მითითებების შესაბამისად გაძლიერდა მუშაობა სწავლებისა და აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით. გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი. შეიქმნა პირობები აღსაზრდელთა ძილის ორგანიზაციის მიზნით. გატარდა ღონისძიებანი სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. მიღებულია ზომები მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზების გაუმჯობესებისათვის. მთელ რიგ რაიონებში სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში გაიზარდა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, მოწესრიგდა სკოლების პროდუქტებით მომარაგების საკითხი.

ამასთან აგვისტოს კონფერენციებზე თავი იჩინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებმა და პრობლემებმა, აღინიშნა, რომ ნაკლოვანებებია მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმეში, დროულად არ იქნა მიწოდებული სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელოები ქ. ზუგდიდის, საგარეჯოს, ყვარლის, გურჯაანის, ვანის, კასპის, გორის, ფოთისა და წითელწყაროს რაიონებისათვის. სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში ვერ შევიდა გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულების შენობები, კერძოდ: ხობის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა, მცხეთის რაიონის სოფელ ნარეკვავის საშუალო სკოლა, გულრიფშის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკის საშუალო სკოლა, გალის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მიშენება, ჭიათურის რაიონის სოფლების კაცხისა და მანდაეთის საშუალო სკოლები, საჩხერის რაიონის სოფლების ცხამისა და სარეკის საშუალო სკოლები.

ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების გახსნის, მათთვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და ცხელი კერძებით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია სკოლების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პედაგოგთა რაზმი ყოველწლიურად ივსება ახალგაზრდა სპეციალისტებით, მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ აკლიათ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. განსაკუთრებით არ ყოფნით რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის, ფიზიკის, მათემატიკის, ფიზკულტურის, დაწყებითი კლასების, დაწყებითი სამხედრო მომზადების, ქიმიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიის მასწავლებლები.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ინტერნატულ დაწესებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ ჩატარებული მუშაობის ანალიზის საფუძველზე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

2. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა განიხილონ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების მასალები, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების (თან ერთვის) ღრმა ანალიზის საფუძველზე დასახონ და განახორციელონ სასკოლო მუშაობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებები, რისთვისაც საქმიანი კონტაქტები დაამყარონ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან სკოლის რეფორმის რეალიზაციისათვის.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებას და ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრებას.

5. განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად გახაგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების შემდგომი განმტკიცება-გაფართოება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. განამტკიცონ და გააფართოონ კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიიღონ გადამჭრელი ზომები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) განათლების სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოებსა და განყოფილებებთან ერთად 1986 წლის 1 აპრილამდე მოამზადოს და კოლეგიაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმა.

8. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე წარმოადგინონ ინფორმაცია მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების შესახებ.

9. ეს გადაწყვეტილება დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში .

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

## მასწავლებელთა 1985 წლის აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები

| № | კრიტიკული შენიშვნის შინაარსი | ვის მიერ არის გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა | ვის მიმართ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | მცირეკომპლექტიან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად პირველი კლასები გამოიყოს ცალკე, რადგან მასწავლებელი სხვა კლასთან არის დაკავებული და მათი დღის რეჟიმი ერთმანეთისაგან განსხვავდება, თითოეული გაკვეთილის შემდეგ 10-15 წუთი რჩებიან მოსწავლეები უმეთვალყუროდ. | ზ. თ. ივანიძე — ასპინძის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი; ე. სუბელიანი — მესტიის რაიონის სოფელ ეცერის საშუალო სკოლის დირექტორი | სკოლების სამმართველო | |
| 2 | კახეთის ზონის განათლების სისტემის ორგანიზაციების უკეთ მომარაგების მიზნით რეგიონის რომელიმე ქალაქსა ან რაიონში თვალსაჩინოების ბაზის ფილიალის გახსნა. | ა. ი. ცაკაშვილი — ახმეტის რაიონის სოფელ კასრისწყლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი | მომარაგების მთავარი სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 3 | სწავლის პერიოდში დახელოვნების კურსებზე გაიგზავნოს მასწავლებლები მხოლოდ იმ სკოლებიდან, რომლებშიც საგნის 2-3 მასწავლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ღონისძიება უფრო საზიანოა, რადგან სკოლაში 20-27 გაკვეთილი ცდება. | ზ. ი. ივანიძე — ასპინძის რაიონის სოფელ აწყვერის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი; ლ. ე. ჩიქოვანი — ცაგერის რაიონის მეთოდკაბინეტის გამგე | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | |
| 4 | ასპინძის რაიონში აუცილებელია ნორჩ ნატურალისტთა სადგურის გახსნა. | ლ. ე. ზედგენიძე — ასპინძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ს. ი. მამუკაშვილი — მეთოდისტი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 5 | სასწავლო კაბინეტებსა და სახელოსნოებში დაზგებისა და ჩარხების დასამონტაჟებლად საჭიროა გამოიყოს მასალები (სადენები, კაბელი, აღმრიცხველები, გამთიშველები, გამანაწილებელი ფარები და ა. შ.). | | მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 6 | განათლების სამინისტრომ ზემდგომ ორგანოებში დააყენოს საკითხი, რათა ცეკავშირმა რაიკოოპერატივს გამოუყოს სპეციალუ- | ა. ს. ფარმანიანი — ასპინძის რაიონის სოფელ დამალის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი | | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | რი ავტომანქანა სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების შესატანად, ხოლო საბავშვო ბაღებისათვის მოტორელი. | მ. რ. ფანქველაშვილი — ორჯონიკიძის (ხარაგაული) რაიონის სოფელ ზვარის საბავშვო ბაღის გამგე | | |
| 7 | შესაბამის ორგანოებში დაისვას საკითხი, რათა სასკოლო ბუფეტებისა და საბავშვო ბაღებისათვის გამოიყოს საჭირო რაოდენობის ელექტროღუმელები, ვინაიდან გაზქურების ხმარება აკრძალულია. | ნ. ვ. ყანდიაშვილი — ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის საშუალო სკოლის დირექტორი | სკოლების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 8 | რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად გადაისინჯოს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები | ქ. ბაკურაძე — ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო | |
| 9 | საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომითი სწავლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტება | თ. ფირცხალაშვილი — ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე; გ. დ. ბურჯანაძე — ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | კადრების სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 10 | ჯერ კიდევ ბევრია ოროცლიანი სკოლების რაოდენობა, რის გამოც მათში არ არის პირობები I კლასის სახელმძღვანელოების შენახვისა, აქედან გამომდინარე, უკეთესია ექვსწლიანებმა ისინი სახლში ატარონ | ბ. ს. ორჯონიკიძე — ქ. ტყიბულის განათლების განყოფილების გამგე | განათლების სამინისტრო | |
| 11 | ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დაუფლების მიზნით საჭიროა ყოველ სკოლას ჰქონდეს ევმ და კომპიუტერი თითო ცალი მაინც, რათა მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ მათზე | ბ. ს. ორჯონიკიძე — ქ. ტყიბულის განათლების განყოფილების გამგე | მომარაგების მთავარი სამმართველო, განათლების სამინისტრო | |
| 12 | მომარაგდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით | გ. დ. მაჭარაშვილი — ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი; გ. ს. ხაბულიანი — ლენტეხის რაიონის სოფელ რცხმელურის საშუალო სკოლის დირექტორი, ო. ტარიელაძე — შუახევის რაიონის სოფელ შუბნის საშუალო სკოლის დირექტორი | მომარაგების მთავარი სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 13 | გამოიცეს შრომითი სწავლების სახელმძღვანელო ქართულ ენაზე | ა. ხუროძე — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; გ. აბჟანდაძე — საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; ე. ა. გაჩეჩილაძე — ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი; ზ. ვ. ხოშოლავა — ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი; გ. ღაღანიძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის საშუალო სკოლის მასწავლებელი; ნ. ძაზმიშვილი — კასპის რაიონის სოფელ სასირეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო | |
| 14 | საჭიროა გადაისინჯოს და შესწორდეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი ნაშრომების გასწორების მეთოდიკური მითითებანი | თ. ა. ქურციკიძე — ორჯონიკიძის რაიონის (ხარაგაული) სოფელ კიცხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო | |
| 15 | ახალი საცხოვრებელი სახლების აგებაა საჭირო მცხეთის რაიონის სოფლების მსხალდიდისა და მუხ- | ე. გ. რთველიაშვილი — მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის საშუალო სკოლის მათემატიკის მას- | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |

| 1 | 2 | 3 | | 5 |
|---|---|---|---|---|
| | რანის სკოლების პედაგოგებისათვის, ხოლო კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს სოფლების ძევვის, მისაქციელისა და ძველი ქანდის მასწავლებელთა სახლები. | წავლებელი, გ. მ. ხუხუნაიშვილი — სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლის დირექტორი, ძ. დ. აკოფოვა — სოფელ ძველი ქანდის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, თ. ი. როველიაშვილი — სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის კლასარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, ი. ორუჯოვა — სოფელ მსხალდიდის რვაწლიანი სკოლის დირექტორი | | |
| 16 | გაუმჯობესებას მოითხოვს თანამედროვე სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარის ხარისხი | მ. ჭანიშვილი — ქარელის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი; ჯ. ჩხიკვაძე — თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში; ზ. ზიბზიბაძე — ზესტაფონის რაიონის მე-3 ბაგა-ბაღის აღმზრდელი; ჯ. კოტაშვილი — სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის საშუალო სკოლის მასწავლებელი | მომარაგების მთავარი სამართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 17 | დაწყებით კლასებში სიმღერისა და მუსიკის უკეთ სწავლებისათვის კარგი იქნება შესაბამისი გრამფირფიტების გამოშვება. | ა. ლომიტაშვილი — ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, თ. ფხაკაძე — ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ პატრიკეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი; ნ. თავზარაშვილი — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 18 | ქართული სკოლებისათვის რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის გასაუმჯობესებლად საჭიროა კარნახისა და სათარგმნი ტექსტების კრებულის გამოშვება | ნ. კატინოვა — ქარელის რაიონის სოფელ აგარის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | |
| 19 | შესწორებას საჭიროებს ქართული სკოლების IX-X კლასების რუსული ენის პროგრამა | ნ. კატინოვა — ქარელის რაიონის სოფელ აგარის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო | |

| 1 | [illegible] | 8 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 20 | რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აკლიათ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები | ე. ხაბულიანი — ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების რუსული ენის მეთოდისტი; გ. ბურჯანაძე — ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; გ. ბასილაია—გეგეჭკორის რაიკომის II მდივანი; ო. ადამია — წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | კადრების სამმართველო | |
| 21 | განათლების განყოფილების ფილმოთეკისათვის გამოიყოს ტრანსპორტი | ბ. ჯანხოთელი — ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე; ს. ჯავახიანი — ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 22 | საჭიროა სპორტდარბაზის მშენება | ვ. ლომიძე — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის საშუალო სკოლის პროფკომიტეტის თავმჯდომარე; მ. შ. გამგებელი — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 23 | მეტი რაოდენობით უნდა გამოიცეს მეთოდური ლიტერატურა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის | ქ. ჩიკვაიძე — ლაგოდეხის რაიონის 1-ლი საბავშვო ბაღის გამგე | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო | |
| 24 | დროულად და საკმარისი ტირაჟით არ მარაგდებიან დაწყებითი კლასები საჭირო მეთოდური ლიტერატურით | რ. ქოზაევა — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონის საშუალო სკოლის დირექტორი, გ. არევაძე — ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო | |
| 25 | კარგი იქნება დაწყებითი კლასებისათვის თუ გამოიცემა მოძრავი ანბანი და ერთ წიგნად გამოვა „დედაენისა“ და „ქართული ენის“ სახელმძღვანელო | ვ. სარალიძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო | |
| 26 | სასკოლო ქსელის გაფართოების მიზნით საჭიროა სოფლების ცხენთაროს, ფუთის, ილმის რვაწლიანი სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება, ხოლო სოფლებში შროშაში, ილემში, ტაბაკინში, წიფლავაკეში, რუფიაში, სკოლამდელი დაწესებულებების გახსნა | გ. ბურჯანაძე — ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | განათლების სამინისტრო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ქალაქის მე-3, სოფელ ზედა საქარის, სადგურ სვირის საშუალო და სოფელ პირველი სვირის რვაწლიანი სკოლების მატერიალური ბაზა<br>ავარიულ შენობაშია სასწავლო სახელოსნოები სოფლების ქვედა საქარის, კლდეეთის, ცხრაწყაროს სკოლებში | | | |
| 27 | საჭიროა შრომითი სწავლების პროგრამების შეცვლა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად | ა. ყიფშიძე — მე-3 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 28 | მცირეა მეთოდური წერილები და რეკომენდაციები დაუსწრებელი სკოლებისათვის | თ. ბულუხიძე — ზესტაფონის რაიონის დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო | |
| 29 | დამატებით დაიბეჭდოს სასკოლო „ვეფხისტყაოსანი“ და დიდტანიანი ნაწარმოებები „არსენა მარაბდელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“ და სხვ. | გ. მ. ჯიქია — ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 30 | რუსულ ენასა და ლიტერატურაში სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის არ არის საკმარისი, მე-4 კლასის სახელმძღვანელო კი რთულია. საჭიროა მეთოდური ლიტერატურა და საკითხავი წიგნები ამ საგანში. | ნ. გეგეჭკორი — გეგეჭკორის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო | |
| 31 | დროულად არ ღებულობენ პროგრამებსა და მეთოდურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს | ნ. მარგველაშვილი — საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე. ს. ბოკუჩავა — აბაშის რაიონის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი; ვ. ხარებაშვილი — ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი; ა. კიუმჩიანი — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პოლინის საშუალო სკოლის დირექტორი; ა. დორბინიანი — ახალქალაქის რაიონის სოფელ იხტილინის საშუალო სკოლის დირექტორი; ბ. ჩარიგოგდიშვილი — ლენინგორის რაიონის 1-ლი სა- | სახელმძღვანელოების სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | შუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი | | |
| 32 | საჭიროა გორისის საშუალო სკოლისათვის ახალი შენობის აშენება ან მიშენება; იგივე გასათვალისწინებელია კასპის რაიონის სკოლა-ინტერნატისათვის და ბათუმის მე-14 საშუალო სკოლისათვის | ზ. ქემერტელიძე — საჩხერის რაიონის სოფელ გორისის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი; თ. თანხიშვილი — კასპის რაიონის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი; მ. რომანაძე — ბათუმის მე-14 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |
| 33 | ჭირს ლინგაფონის კაბინეტების დამონტაჟება | გ. აბჯანდაძე — საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; ა. ხომერიკი — ქ. ფოთის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე; ა. ღურგარიანი — ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე | მომარაგების მთავარი სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 34 | სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. წიგნის გადაშლისას ფურცლები ცვივა | გ. გედიაძე — ყაზბეგის რაიონის სოფელ არშის საშუალო სკოლის დირექტორი; ნ. ჭიტაძე — ქ. ჭიათურის დარკვეთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; ნ. ბექაშვილი — გურჯაანის 1-ლი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი; ვ. შელია — ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი; ვ. ი. ხუბაევი — ცხინვალის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 35 | სკოლებს აკლია სპეცდახაზულობის დაფები | ა. ცანავა — აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 36 | საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს მასწავლებელთათვის განკუთვნილი მეთოდური ლიტერატურის ტირაჟი იმ ვარაუდით, რომ მისი შეძენა სათანადო საგნის ყველა სპეციალისტს შეეძლოს | გ. კანკაძე — ვანის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი | სახელმძღვანელოების სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 37 | მცირე რაოდენობით იღებენ მხატვრულ ლიტერატურას სკოლის ბიბლიოთეკები | ნ. ჭიტაძე — ქ. ჭიათურის ზონის სოფელ დარკვეთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 38 | თერთმეტწლიანი სკოლის მე-2 კლასისათვის მიღებული სახელმძღვანელოები მოთხოვნას 30%-ით აკმაყოფილებს, ხოლო მე-5 კლასის რუსული ენის სახელმძღვანელო რაიონში ჯერჯერობით არ მიუღიათ. | მ. ბებნაძე — ვანის რაიონის სოფელ შუამთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; რ. გახელაძე — კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 39 | სკოლები სათანადოდ არ მარაგდებიან პიონერული ორგანიზაციისათვის საჭირო ატრიბუტებით | ლ. გაბიტაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგის რვაწლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი | მომარაგების მთავარი სამმართველო | |
| 40 | სავაჭრო ორგანიზაციებში არ შემოდის I-II კლასების ქართული და რუსული ენის რვეულები, მათემატიკური ყუთები და ლოტოები. სკოლები ნაკლებად მარაგდებიან მოძრავი ანბანით, დიდაქტიკური მასალებით | დ. ლეგაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი; ნ. თავხარაშვილი — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგი | | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 41 | შემუშავდეს და გამოიცეს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის დამხმარე სახელმძღვანელოები | დ. ნარუაშვილი — ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 42 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მცირე რაოდენობითაა „აღზრდის პროგრამა“, კარგი იქნება, თუ იგი დამატებით დაიბეჭდება | ლ. დ. ბახტაძე — ქ. რუსთავის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო | |
| 43 | წლობით არ ხდება რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდებაზე ლიმიტის მიღება, ხოლო ზოგიერთ რაიონში იგი ძალზე მცირეა | თ. ხომერიკი — ქ. ფოთის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე; თ. იმედაძე — სამტრედიის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი | კადრების სამმართველო | |
| 44 | მეტყველების დეფექტის მქონე ბავშვებისათვის საჭიროა ქ. ფოთში ლოგოპედის საშტატო ერთეულის დამატება | ა. კოპალიანი — ქ. ფოთის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი | საგეგმო-საფინანსო სამმართველო | |
| 45 | ცხაკაიას რაიონში საჭიროა სპორტული სკოლის აშენება | კ. თ. შარტავა — ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგე | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 46 | საჭიროა გამოიცეს ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატება შრომითი სწავლების მასწავლებლებისათვის | ზ. გ. ხოჭოლავა — ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი | განათლების სამინისტრო | |
| 47 | საჭიროა გაიხსნას ნორჩ ტექნიკოსთა სადგური | ზ. გ. ხოჭოლავა — ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 48 | გასათვალისწინებელია განათლების განყოფილებაში ცენტრალიზებული ბუღალტერიის აღდგენა. | ნ. ჭანტურია — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე | განათლების სამინისტრო | |
| 49 | საბავშვო ბაღების უმრავლესობა მოთავსებულია არატიპურ და ავარიულ შენობებში | გ. ზურებიანი — მესტიის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |
| 50 | არატიპურ და უვარგის შენობებშია მოთავსებული სოფლების ფარის რვაწლიანი, იფარისა და უშგულის საშუალო სკოლები | ვ. გაგნიძე — მესტიის რაიონის სოფელ ფარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი; დ. ნიჟარაძე — მესტიის რაიონის სოფელ უშგულის საშუალო სკოლის მასწავლებელი | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 51 | საჭიროა შედგეს სასწავლო-სახელოსნოს ტიპური პროექტი | გ. აფხაზავა, ზ. ტუღუში — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის მასწავლებლები | სკოლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |
| 52 | იმისათვის, რომ არ მოხდეს მაღალმთიანი სოფლის — გუდალეთის — მოსახლეობის მიგრაცია გათვალისწინებულ იქნას სოფელში რვაწლიანი სკოლის მშენებლობა | ო. აბაშიძე — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |
| 53 | სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლაში შეიცვალოს ავტოსაქმის სწავლება—ტრაქტორის სწავლებით | ო. აბაშიძე — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი | სკოლების სამმართველო | |
| 54 | სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭო დაამტკიცოს რაისაბჭოს აღმასკომმა და არა განათლების განყოფილებამ | ნ. კალანდია — ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო | |
| 55 | გახანგრძლივებული დღის სკოლებში, სადაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფები 10-ზე მეტია, დაშვებული იქნას დირექტორის მოადგილის 0,5 შტატი | ნ. კალანდია — ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე | გეგმო-საფინანსო სამმართველო | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 56 | საჭიროა სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში დაიშვას მედდისა და ბიბლიოთეკარის თუნდაც 0,5 განაკვეთი | ტ. ახალაია — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორი | საგეგმო-საფინანსო სამმართველო | |
| 57 | დაზუსტებას საჭიროებს სასწავლო პროგრამა გეოგრაფიაში, სკოლები არაა უზრუნველყოფილი კონტურული რუქებით | რ. მიქელაძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო, | |
| 58 | საჭიროა შეიქმნას დიაფილმები მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე | ნ. ელიაშვილი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჯოჭოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი | სკოლების სამმართველო | |
| 59 | საჭიროა გამოიცეს პროგრამით გათვალისწინებული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ცალკეული კლასების მიხედვით | ნ. ლოლიძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჯოჭოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 60 | სომხური სკოლებისათვის მცირე რაოდენობით გამოდის თვალსაჩინოება: კინოფილმები, სქემები, ტაბულები და ა. შ. | ი. პოღოსიანი — ბოგდანოვკის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორი | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 61 | დაჩქარდეს სასწავლო-საწარმოო კომბინატის მშენებლობა ქ. ცხინვალში | რ. კ. თადტაევი — ქ. ცხინვალის განათლების განყოფილების გამგე | კაპიტალური მშენებლობის განყოფილება | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულებაში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა ოლიმპიადა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც რესპუბლიკის სკოლების ტრადიციულ ღონისძიებად იქცა, ხელს უწყობს ლიტერატურით, ისტორიით, ხელოვნებითა და კულტურით მოსწავლე ახალგაზრდობის მზარდ დაინტერესებას; ამაღლებს მათი წიგნიერების დონეს, წერითი მეტყველების კულტურას.

ამასთან, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ოლიმპიადის მონაწილეთათვის მხოლოდ განყენებული თემების შერჩევამ ვერ გაამართლა, რამდენადაც ასეთი თემები არ იძლევა საშუალებას მთლიანად გამოვავლინოთ მოსწავლის მიერ სკოლის კედლებში შეძენილი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება, მე-10 მუხლში შეტანილი ცვლილებებით: „ოლიმპიადის მონაწილენი წერენ თხზულებას, მათ ეძლევათ სამი პროგრამული და ორი თავისუფალი თემა, რომელთაგანაც ირჩევენ ერთ-ერთს“ დამტკიცდეს.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება და ოლიმპიადის დებულება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებს; დაურიგდეს სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება

## მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადისა

1. მოსწავლეთა ოლიმპიადას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ზ. ჭიჭინაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტების, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მონაწილეობით, ოქტომბრიდან აპრილამდე (ჩათვლით).

2. ოლიმპიადის მიზანია გააფართოოს და გააღრმაოს სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი, ამ საგნის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ორიენტაციას, აამაღლოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების VIII, IX-X (XI) კლასების მოსწავლეებს.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი — სასკოლო, მეორე — საქალაქო (რაიონული), მესამე — ზონალური, მეოთხე — რესპუბლიკური. შესაბამისად პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე — ქალაქში (რაიონში), მესამე — ზონის ცენტრში, მეოთხე — რესპუბლიკური — განათლების სამინისტროს მიერ შერჩეულ რომელიმე ქალაქში.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

ბ) საქალაქო (რაიონული) კომიტეტი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

გ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი — ზონის ცენტრად გამოყოფილი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა წარდგინებით; მათში შედიან სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და შესაბამისი ქალაქებიდან (რაიონებიდან); ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

დ) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. ოლიმპიადის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ჟიურის, რომელიც ადგენს საოლიმპიადო საწერ თემებს, ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, არჩევს გამარჯვებულებს სიგელებით დასაჯილდოებლად, აგრეთვე საუკეთესო თხზულებებს — გამოსაქვეყნებლად.

7. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა იყოფა 30 ზონად, ზონების ცენტრებად მიჩნეულია:

7. 1. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 2. ქ. თბილისი — რკინიგზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 3. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 4. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 5. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 7. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 8. ქ. გორი — ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 10. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 11. ჭიათურა — ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 12. სამტრედია — სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 13. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 14. ცხაკაია — ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 15. მცხეთა — მცხეთის, კასპისა და დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 16. ახალციხე — ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 17. ახალქალაქი — ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 18. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. 19. თეთრი წყარო — თეთრი წყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 20. წალკა — წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 21 თელავი — თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 22. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 23. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 24. ამბროლაური — ამბროლაურის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 25. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 26. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 27. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 28. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 29. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. 30. ონი — ონის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის.

შენიშვნა: თეთრი წყაროს, წალკის, მესტიის, ცაგერის, ლენტეხის, ონის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში ოლიმპიადა ჩატარდება ორ ეტაპად — სასკოლო და ზონალურ ტურებად, რის შემდეგ გამარჯვებული მოსწავლეები დაშვებული იქნებიან რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობისათვის. სასკოლო და საქალაქო (სარაიონო) ტურები ჩატარდება 1985 წლის დეკემბერში, ზონალური — 1986 წლის 25 იანვარს და რესპუბლიკური — 30 მარტს. მოსწავლეებს სასკოლო ტურში მონაწილეობისათვის შეარჩევენ საგნის მასწავლებლები.

8. ზონალური ტურის კანდიდატებს საქალაქო (რაიონულ) ტურში გამარჯვებულთაგან შეარჩევენ შესაბამისი საქალაქო (სარაიონო) საორგანიზაციო კომიტეტები და მათ სიებს, შემოწმებულს განათლების განყოფილების მიერ, 10 იანვრამდე უგზავნიან ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

9. ზონის საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს ზონალურ ტურზე შესრულებულ ნამუშევრებს, რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიებს და თხზულებებს, არაუგვიანეს 5 დღისა, უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ გადა-

ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს მიიწვევს დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

10. ლიტერატურული ოლიმპიადის მონაწილენი წერენ თხზულებას. მათ ეძლევათ სამი პროგრამული და ორი თავისუფალი თემა, რომელთაგანაც ირჩევენ ერთ-ერთს.

11. სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 5 ასტრონომიული საათი.

გამსვლელი ქულებია 8, 9, 10.

პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდებიან დასკვნითი ტურის მონაწილენი, რომლებიც დააგროვებენ 10 ქულას (5/5), მეორე ხარისხის სიგელით — 9 ქულას (5/4) და მესამე ხარისხის სიგელით — 9 ან 8 ქულას (4/5, 4/4).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ წერითი ნამუშევრის შეფასებისას ერთ-ერთი მხარე 4-ზე დაბალ ნიშანს იმსახურებს, მოსწავლე გამარჯვებულად არ ჩაითვლება.

12. სასკოლო ტურისათვის თემებს ადგენენ სახალხო განათლების საქალაქო (რაიონული) განყოფილებები, ზონალური და რესპუბლიკური ტურისათვის—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტები თემებს, დალუქული პაკეტით, იღებენ სპეციალური ფოსტით ან ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეული პირის საშუალებით.

ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ოლიმპიადაზე წერითი სამუშაოები სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები ამზადებენ.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ჟიური, წინადადებებს ოლიმპიადის დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოების, აგრეთვე მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებების, მათი გამოქვეყნების მიზნით, წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О внесении изменений в Положение о Республиканской олимпиаде по родному языку и литературе и его утверждении

**31 октября 1985 года**

Коллегия отмечает, что олимпиада учащихся по родному языку и литературе, ставшая традиционным мероприятием школ республики способствует росту интереса учащейся молодежи к занятиям литературой, историей, искусством; повышению уровня грамотности, культуры письменной речи.

Вместе с тем опыт показывает, что подбор для участников олимпиады только лишь свободных тем не оправдал себя, т. к. такие темы не дают возможности полного выявления знаний, приобретенных учащимися в стенах школы.

Исходя из вышеизложенного, коллегия р е ш а е т:

1. Утвердить Положение о Республиканской олимпиаде учащихся по родному языку и литературе с изменениями, внесенными в п. 10: «Участники олимпиады пишут сочинение, им даются три программные и две свободные темы, из которых они выбирают одну».

2. Настоящее решение и Положение об олимпиаде для руководства разослать Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси, учреждениям республиканского подчинения; раздать управлениям и отделам Министерства.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПОЛОЖЕНИЕ

## О Республиканской олимпиаде учащихся по родному языку и литературе

1. Олимпиаду учащихся по родному языку и литературе проводит Министерство просвещения Грузинской ССР на базе Краснознаменного Республиканского Дворца пионеров и школьников им Б. Дзнеладзе совменстно с Научно-исследовательским институтом педагогических наук им. Я. Гогебашвили, Центральным институтом усовершенствования учителей и Республиканским учебно-методическим кабинетом, с октября по апрель (включительно).

2. Цель олимпиады — расширить и углубить знания, приобретенные в школе по родной литературе, выявить способных учащихся, проявляющих особый интерес к предмету, способствовать их профессиональной ориентации, повышению культуры письменной и устной речи.

3. В олимпиаде могут принять участие учащиеся VIII-XI-X (XI) классов восьмилетних и средних общеобразовательных школ, школ-интернатов и дестких домов.

4. Олимпиада по литературе проводится в четыре тура: первый — школьный, второй — городской (районный), третий — зональный, четвертый — Республиканский. Соответственно первый тур проводится в школе, второй — в городе (районе), третий — в центре зоны, четвертый — Республиканский — в одном из городов республики, по выбору Министерства.

5. Для руководства олимпиадой создаются:

а) школьный оргкомитет, который утверждается директором школы;

б) городской (районный) оргкомитет, состав которого определяет и утверждает заведующий городским (районным) отделом народного образования;

в) зональный оргкомитет — по представлению городских и районных отделов народного образования, являющихся центрами зон; в их состав входят специалисты из центров зон и соответствующих городов (районов); состав зонального оргкомитета утверждает заведующий отделом народного образования центра зоны;

г) Республиканский оргкомитет утверждается Министром просвещения Грузинской ССР.

6. Республиканский оргкомитет по проведению олимпиады создает жюри, которое разрабатывает тематику олимпиады, проверяет работы учащихся, определяет победителей для награждения грамотами, а также наилучшие сочинения — для публикации.

7. Для проведения зонального тура республика делится на 30 зон; центрами зон являются:

7. 1. г. Тбилиси — для учащихся школ г. Тбилиси;

7. 2. г. Тбилиси — для учащихся железнодорожных общеобразовательных школ;

7. 3. г. Сухуми — для учащихся школ Абхазской АССР;

7. 4. г. Батуми — для учащихся школ Аджарской АССР;

7. 5. г. Цхинвали — для учащихся школ Юго-Осетинской АО;

7. 6. г. Кутаиси — для учащихся школ г. Кутаиси, Ткибульского, Цхалтубского и Маяковского районов;

7. 7. г. Рустави — для учащихся школ г. Рустави, Гардабанского и Сагареджойского районов;

7. 8. г. Гори — для учащихся школ г. Гори, Горийского, Карельского, Хашурского и Боржомского районов;

7. 9. г. Поти — для учащихся школ г. Поти;

7. 10. г. Зугдиди — для учащихся школ г. Зугдиди, Зугдидского, Хобского и Цаленджихского районов;

7. 11. г. Чиатура — для учащихся школ г. Чиатура и Сачхерского районов;

7. 12. Самтредия — для учащихся школ Самтредского, Ванского и Цулукидзевского районов;

7. 13. Зестафони — для учащихся школ Зестафонского, Терджольского и Орджоникидзевского районов;

7. 14. Цхакая — для учащихся школ Цхакаевского, Абашского, Чхороцкусского и Гегечкорского районов;

7. 15. Мцхета — для учащихся школ Мцхетского, Каспского и Душетского районов;

7. 16. Ахалцихе — для учащихся школ Ахалцихского, Адигенского и Аспиндзского районов;

7. 17. Ахалкалаки — для учащихся школ Ахалкалакского и Богдановского районов;

7. 18. Болниси — для учащихся школ Болнисского, Дманисского и Марнеульского районов;

7. 19. Тетри Цкаро — для учащихся школ Тетрицкаройского района;

7. 20. Цалка — для учащихся школ Цалкского района;

7. 21. Телави — для учащихся школ Телавского, Ахметского и Кварельского районов;

7. 22. Гурджаани — для учащихся школ Гурджаанского, Сигнахского, Цителцкаройского и Лагодехского районов;

7. 23. Махарадзе — для учащихся школ Махарадзевского, Ланчхутского и Чохатаурского районов;

7. 24. Амбролаури — для учащихся школ Амбролаурского района;

7. 25. Местия — для учащихся школ Местийского района;

7. 26. Цагери — для учащихся школ Цагерского района;

7. 27. Лентехи — для учащихся школ Лентехского района;

7. 28. Тианети — для учащихся школ Тианетского района;

7. 29. Казбеги — для учащихся школ Казбегского района;

7. 30. Они — для учащихся школ Онского района.

Примечание: в Тетрицкаройском, Цалкском, Местийском, Цагерском, Лентехском, Онском, Тианетском и Казбегском районах олимпиады пройдут в два этапа — школьный и зональный, после чего одержавшие победу школьники будут допущены к участию в Республиканском туре.

Школьный и городской (районный) туры проводятся в декабре 1985 года, зональный — 26 января 1986 года и Республиканский — 30 марта. Участников школьного тура определяют учителя русского языка и литературы школ.

8. Кандидатов зонального тура из победителей городского (районного) тура определяют соответствующие городские (районные) оргкомитеты и списки, заверенные отделом народного образования до 10 января высылают оргкомитету центра зоны.

9. Оргкомитет центра зоны проверяет выполненные на зональном туре работы и не позднее чем за 5 дней, направляет в Республиканский оргкомитет списки и сочинения учащихся, допущенных к Республиканскому туру, который со своей стороны перепроверяет представленные работы, школьники-победители приглашаются для участия в заключительном туре.

10. Участники литературной олимпиады пишут сочинение. Им даются три программные и две свободные темы, из которых они выбирают одну.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. Для выполнения работы учащимся дается 5 астрономических часов.

Проходной балл 8, 9, 10.

Грамотой первой степени награждаются участники заключительного тура, набравшие 10 баллов (5/5), грамотой второй степени — 9 баллов (5/4) и грамотой третьей степени — 9 или 8 баллов (4/5, 4/4).

Примечание: в случае, если одна из оценок ниже 4, учащийся победителем не считается.

12. Темы для школьного тура составляются городскими (районными) отделами народного образования, а для зонального и Республиканского туров — Республиканским оргкомитетом. Оргкомитеты получают запечатанные в пакет темы по спецпочте или через чрезвычайно подобранного с этой целью лица.

В день проведения зонального тура запечатанный пакет в присутствии участников олимпиады раскрывает председатель зонального оргкомитета.

Олимпиадные работы выполняются на заранее подготовленной соответствующим оргкомитетом бумаге со штампом.

13. Жюри Республиканского оргкомитета представляет руководству Министерства просвещения Грузинской ССР предложения о награждении учащихся — победителей заключительного тура олимпиады грамотами, а также о наилучших сочинениях для опубликования.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“ ჩატარების შესახებ . . . . . . . . 3

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1984—1985 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების შესახებ 7

გადაწყვეტილება — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების დღის განყოფილებაზე შემსვლელ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ . . . . . . . . 34

გადაწყვეტილება — მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის აგვისტოს კონფერენციებისა და რესპუბლიკის სკოლამდელ და ინტერნატულ დაწესებულებებში 1985—1986 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 42

გადაწყვეტილება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულებაში ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . 65

Решение — О внесении изменений в Положение о Республиканской олимпиаде по родному языку и литературе и его утверждении . . 70